www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი 16 მარტი, 2009 წელი. №57 (2095) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

პრეს-ომბუდსმენი

A3



"ქართული კინოდან" მსოფლიო კინემატოგრაფამდე

A11



ახლა რუსების ჯერიაა

A13



# რუსეთი

## როგორიც გვგონია და როგორიც შეიძლება არის

დავით აფრასიძე

*რუსეთი ყოველთვის იმაზე უფრო ძლიერი ან სუსტი გვეჩვენება, ვიდრე იგი არის სინამდვილეში,* - ბისმარკის ეს სიტყვები თანამედროვე რუსეთსაც კარგად აღწერს. ევროპელები დარწმუნებული არიან, რომ რუსეთი შიდა პრობლემების ტყვეობაშია და საგარეო პროვოკაციებისთვის არ სცალია. ამერიკელების ნაწილსაც მიაჩნია, რომ, მართალია, მოსკოვი დღეს უფრო ძლიერია, ვიდრე 1990-იან წლების დასაწყისში, მაგრამ მაინც არ ქმნის გლობალურ საფრთხეს. ატლანტის ოკეანის ორივე ნაპირზე ბევრს ნახავთ, ვისაც რუსეთის გულწრფელად სჯერა და მიაჩნია, რომ მოსკოვს უნდა გაუგო. აგვისტოს ომისა და განსაკუთრებით ეკონომიკური კრიზისის შემდეგ საქართველოშიც გავრცელდა მოსაზრება, რომ რუსეთი შიდაპრობლემებში ჩაეფლო და უზარმაზარი იმპერიის დაშლა მხოლოდ დროის ამბავია.

გაგრძელება A4 გვერდზე



*ელცინის პერიოდს რუსეთში იხსენებენ არა თავისუფლების ხანად, არამედ ქაოსად.*

# დივერსიფიკაცია

ივა შილაკაძე

*რუსეთის მიმართ დასავლეთის პოლიტიკის შეცვლის ალბათობა იზრდება. კრიზისის გამო ევროკავშირის ქვეყნების პრაგმატული ინტერესი კლებულობს და წინ გამოდის დაგროვილი წინააღმდეგობები, მათ შორის ენერგეტიკულ სფეროში.*

თუ რუსეთს მხოლოდ საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით შევხედავთ, შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ საერთოდ არანაირი ეკონომიკური კრიზისი არ არის. გრძელდება "პოსტსაქართველოს" ფაზა, როცა ევროკავშირი და ნატო რუსეთთან მიმართებაში დაუბრუნდნენ პოზიციას "ჩვეულებრივი ბიზნესი". რუსეთის კურსი ინერციით მიმდინარეობს გაძლიერების გზაზე მყოფი ისეთი "ენერგეტიკული სუპერსახელმწიფოს" სტილში, რომელსაც საკმარისი რესურსები აქვს საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად.

რითი დაგვამახსოვრდა რუსეთის საგარეოპოლიტიკური ქცევა ბოლო თვეებში? უპირველესად რუსეთის მცდელობით - თავის სასარგებლოდ ძალისმიერი მეთოდებით შეეცვალა უკრაინისთვის გაზის მიწოდების სისტემა, რაც ადრე თვითონვე ჩამოაყალიბა. "ოპერაციის დაგეგმვის" დროს არავითარი ყურადღება არ მიექცა იმას, რომ ასეთ ნაბიჯს აუცილებლად მოჰყვებოდა რეპუტაციის შელახვა და ეკონომიკური ზარალი. არ იქნა გათვალისწინებული აგრეთვე ევროპის ენერგოუსაფრთხოების ფიზიკური შედეგები. მეორეც - არ იყო არანაირი პროგრესი ევროკავშირთან დიალოგში. როდესაც თებერვლის დასაწყისში, ევროკომისიის თავმჯდომარე ჟოზე მანუელ ბაროზუ, უაღრესად წარმომადგენლობითი დელეგაციის თანხლებით, ურთიერთობების მოსაგვარებლად მოსკოვში ჩავიდა, ყველაფერი რუსეთის პრემიერ-მინისტრ პუტინის მკვახე პასუხით დამთავრდა.

გაგრძელება A7 გვერდზე

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK

GRDC group

ჯი პი აი
ვიენის სადაზღვევო ჯგუფი

24 საათი | The New York Times Articles selected for 24 საათი | Weekend

### 1 მარტიდან

საცალო ვაჭრობაში “24 საათის” სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება.

მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც.

ასეთ შემთხვევაში ხელმოწერის ფასები შესაბამისად იქნება:

1 წლით ——————— 52 ლარი;
6 თვით ——————— 26 ლარი;
3 თვით ——————— 13 ლარი;
1 თვით ——————— 4 ლარი.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალეკო ლომიძე;

### კათალიკოს-პატრიარქის "მშვიდობიანი კავკასიის" იდეა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ გუშინ სამების საკათედრო ტაძარში ქვეყნის გამთლიანებასა და გაძლიერებაზე ზრუნვაზე იქადაგა. როგორც ილია მეორემ აღნიშნა, საქართველოს წინაშე აფხაზეთთან და შიდა ქართლთან დაკავშირებით სამწუხარო და მძიმე მდგომარეობაა. ხანდახან ამბობენ, რომ ეს ტერიტორიები დაკარგულია, მე არავითარ შემთხვევაში არ ვუშვებ ამ აზრს , - ბრძანა პატრიარქმა და იქვე ხაზი გაუსვა, რომ აფხაზეთი და შიდა ქართლი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და ღვთის ნება და ხალხის სურვილიც ასეთია.

ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ მთლიანი და ძლიერი იყოს საქართველო , - დასძინა კათალიკოს-პატრიარქმა.

ქადაგებისას ილია მეორე აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწე მეთიუ ბრაიზასთან შეხვედრასაც შეეხო, სადაც მან ამერიკელ სტუმარს მშვიდობიანი კავკასიის იდეა შესთავაზა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ გუშინ ის სასულიერო პირებიც დააჯილოვა, რომელთაც 12-12 შვილი ჰყავთ.

**ინტერპრესნიუსი**

### ქართული არტილერიის იუბილე

გუშინ ქართული არტილერიის დაარსებიდან 16 წლის იუბილე აღინიშნა. საზეიმო ცერემონია თავდაცვის სამინისტროს ეზოში გაიმართა. არტილერისტებს იუბილე საქართველოს პრეზიდენტმა და უმაღლესმა მთავარსარდალმა მიხეილ სააკაშვილმა პირადად მიულოცა.

"ქართულმა არტილერიამ რუსეთ-საქართველოს ომში ძალიან დიდი ბრძოლა გასწია. მან ოკუპანტებს დიდი მატერიალური დანაკარგი მიაყენა", - აღნიშნა პრეზიდენტმა სიტყვით გამოსვლისას.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის უმაღლესმა მთავარსარდალმა რუსეთთან შეიარაღებული დაპირისპირების დროს გამოჩენილი თავგანწირვისთვის ქართველი არტილერისტები დააჯილდოვა. თავდაცვის სამინისტროს სხვადასხვა უწყებრივი ჯილდოები 67 არტილერისტს გადაეცა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### ვიზიტი ავსტრიაში

პარტია დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ავსტრიაში გაემგზავრა. პარლამენტის ექს-სპიკერი მონაწილეობას მიიღებს ავსტრიის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაში. კონფერენციის ფარგლებში ნინო ბურჯანაძესთან ერთად დისკუსიაში მონაწილეობენ ევროკომისარი საგარეო ურთიერთობებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ბენიტა ფერერო ვალდნერი, პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტი ალექსანდრე კვასნევსკი და გერმანიის მწვანეთა პარტიის ლიდერი სემ ოზდემირი.

ვიზიტის ფარგლებში, 16 მარტს, ავსტრიული მხარის ინიციატივით, გაიმართება ნინო ბურჯანაძის პირისპირ შეხვედრა ავსტრიის პრეზიდენტ ჰაინც ფიშერთან. ნინო ბურჯანაძე თბილისში 17 მარტს დაბრუნდება.

**ინტერპრესნიუსი**

### მარიონეტები უფულობამ შეაწუხა

ცხინვალის მარიონეტული რეჟიმი დღეს ე.წ. რესპუბლიკის აღდგენითი სამუშაოების წინადადებების საბოლოო პროექტს შეიმუშავებს, რომელსაც მოსკოვს წარუდგენს.

ამის შესახებ ცხინვალის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტი იუწყება.

ცხინვალის წინადადებებს მოსკოვის უწყებათაშორისი კომისია, სავარაუდოდ, მარტის სხდომაზე განიხილავს. წინადადებები მარიონეტული რეჟიმის ე.წ. სამინისტროებისა და უწყებების ექსპერტებმა შეიმუშავეს. ცხინვალის გეგმა ფინანსური სიტუაციის შეცვლას ითვალისწინებს.

ე.წ. მინისტრებმა იმედი გამოთქვეს, რომ მოსკოვში კომისიის მარტის სხდომაზე აღდგენითი სამუშაოების გეგმის შეთანხმება მოხერხდება, რამდენადაც ბუნებრივი პირობები უკვე ორი თვეა, სამუშაოების აქტიურად წარმოების საშუალებას იძლევა. ფინანსების ამოწურვის გამო ცხინვალის რეგიონში აღდგენითი სამუშაოები შეწყდა და სავარაუდოდ, სექტემბრამდე არ განახლდება. ამის მიზეზი მოსკოვის მიერ დაფინანსების შეწყვეტა გახდა.

**ინტერპრესნიუსი**

# ბრაიზას პოზიცია

**"რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის მიუხედავად, შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაციის მთავარი მიზანი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებაა,"** - ამის შესახებ თბილისში ორდღიანი ვიზიტის შემდეგ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილემ მეთიუ ბრაიზამ განაცხადა. მან შემაჯამებელ ბრიფინგზე ქვეყნის შიდა და საგარეო პოლიტიკური პროცესები კიდევ ერთხელ განიხილა. ბრაიზამ საქართველოს მიმართ შეერთებული შტატების შეუქცევადი მხარდაჭერა დაადასტურა.

**პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციის სურვილი და შეუქცევადი სწრაფვაა, შენარჩუნებულ იქნას საქართველოს დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. მოხარული ვარ, რომ კვლავ ვადასტურებ ჩვენს მიზანს საქართველოსთან ურთიერთობის კუთხით. ეს არის ჩვენი მხარდაჭერა თქვენს მიმართ. საქართველოში რუსეთის შემოჭრის შემდეგ, აშშ-მ და ევროპის ქვეყნებმა ბევრი რამ გააკეთეს ქვეყანაში ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებისთვის. ვაშინგტონი გააგრძელებს მუშაობას რუსეთთან, ვცვლით რა ჩვენს ტონს ამ ქვეყანასთან მიმართებით. მაგრამ არ ვაპირებთ ჩვენი დამოკიდებულების შეცვლას რუსეთის ქმედებებზე, დაამყაროს გავლენა მეზობელ ქვეყნებსა და ენერგორესურსებზე,** - განაცხადა მეთიუ ბრაიზამ.

მეთიუ ბრაიზა საქართველოში 13 მარტს ჩამოვიდა. მან ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გამართა ხელისუფლების და ოპოზიციის წარმომადგენლებთან. ბრაიზა 14 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმაც მიიღო.

**საკუთარი ინფორმაცია**

# მიტინგი რუსთაველის ძეგლთან




ხათია ჯიჯეიშვილის ფოტო

გუშინ თბილისში, რუსთაველის ძეგლთან, რამდენიმე არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული მიტინგი ჩატარდა.

მიტინგი გახსნა ორგანიზაცია კანონი ხალხისათვის ხელმძღვანელმა ზაქარია ქუცნაშვილმა, რომელმაც გუშინდელ დღეს ქართული სამოქალაქო საზოგადოების ერთიანობის დაბადების დღე უწოდა.

**დღეს პირველად ხდება, როცა არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ყველა წამოყენებული მოთხოვნით გაერთიანდნენ. მიგვაჩნია, რომ, თუ არ იქნება თავისუფლება და სამართლიანობა, არ იქნება კეთილდღეობაც. ჩვენ აქ ამაზე სასაუბროდ შევიკრიბეთ,** - განაცხადა ქუცნაშვილმა და საზოგადოებას ერთიანობისთვის მოუწოდა.

ასეთივე შინაარსის განცხადებით მიმართა მიტინგზე შეკრებილებს ქართული აკადემიის წარმომადგენელმა ნუკრი ქანთარიამ.

შეკრებილები ერთხმად სკანდირებდნენ ლოზუნგს - წადი . ამასთან, მიტინგზე, ტრანსპარანტების სახით წარმოდგენილი იყო ყველა ის მოთხოვნა, რომელსაც ბოლო წლების განმავლობაში მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებას უყენებდნენ.

აქციის ორგანიზატორებმა შეკრებილებს საერთო განცხადება დაურიგეს, რომელშიც ხაზგასმულია არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოთხოვნა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადადგომის თაობაზე.

როგორც ღონისძიების ორგანიზატორებმა აღნიშნეს, აქციას ერთჯერადი სახე აქვს და დღეიდან დაიწყება შეხვედრები პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან. მარტის ბოლოს კი სამოქალაქო საზოგადოება, 9 აპრილის აქციისთვის მოსახლეობის მობილიზების მიზნით, შეკრებებს საქართველოს რეგიონებში გამართავს.

გუშინდელი აქციის შემდეგ, მისმა მონაწილეებმა პარლამენტის შენობისკენ მანიფესტაცია მოაწყვეს.

ზაქარია ქუცნაშვილის თქმით, საკანონმდებლო ორგანოსთან გადანაცვლება არის იმის დასტური, რომ სამოქალაქო საზოგადოება მხარს უჭერს 9 აპრილს ოპოზიციის მიერ დაგეგმილ საპროტესტო აქციას.

**საკუთარი ინფორმაცია**

# ვეტერანებმა მოგერიებული თავდასხმა გაიხსენეს

გუშინ აფხაზეთის ომის ვეტერანებმა სოხუმზე შეტევის მე-15 წლისთავი აღნიშნეს. მათ დაღუპულ მეომართა ხსოვნას პატივი მიაგეს და გვირგვინით შეამკეს გმირთა მოედანზე არსებული ერთიანი საქართველოსთვის დაღუპულთა მემორიალი . ვეტერანებმა გაიხსენეს აფხაზეთის 1993 წლის 15-16 მარტს სოხუმზე განხორციელებული შეტევა, რომელიც მოწინააღმდეგის მარცხით დასრულდა. 1993 წლის 15 მარტს, დილის 4 საათზე ძლიერი შემოტევა დაიწყო, მასში აფხაზური საბრძოლო შენაერთების გარდა, მონაწილეობდნენ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფები, კაზაკი მებრძოლები და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კონფედერაციაში გაერთიანებული დანაყოფები.

ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური შემოტევის დროს, სოხუმს იცავდა ადგილობრივი მოსახლეობისგან დაკომპლექტებული თავდაცვის სამინისტროს 23-ე ბრიგადის პირველი, მე-2, მე-3, და მე-6 ბატალიონები. ამასთანავე, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, აფხაზეთის სამხედრო პოლიციის, სოხუმის ჩოლოყაშვილის ბატალიონის და იუპიტერის მებრძოლებმა, სოხუმთან მტრის მნიშვნელოვანი ცოცხალი ძალა და ტექნიკა გაანადგურეს. სოხუმის დაცვას ამ ბრძოლაში 137 მებრძოლის სიცოცხლე შეეწირა, ხოლო 350-მდე ჯარისკაცი დაიჭრა, მიუხედავად ამისა, მეომრებმა ქალაქი არ დათმეს. გუშინ ერთიანი საქართველოსთვის დაღუპულთა მემორიალი გვირგვინით შეამკო საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა პაატა დავითაიამ. მან კიდევ ერთხელ გაიხსენა სამშობლოსთვის დაღუპული მებრძოლები. **15-16 მარტს სოხუმმა ორი დღე გაუძლო შეტევას, დაამარცხა მტერი და ეს დღესაც მისაბაძია ქართული არმიისთვის. ჩვენ გავიხსენეთ გარდაცვლილები, მაშინ, ძალიან ბევრი ადამიანი დაიღუპა. ეს დღეები აფხაზეთის ომში მებრძოლებისთვის გამარჯვების დღეც არის, რადგან სერიოზული შეტევა მოვიგერიეთ,** - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ..

**საკუთარი ინფორმაცია**

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

## მომავალ ორშაბათამდე!



ნოდარ ლადარია

წარმოვიდგინოთ ერთი პატარა ქალაქი... მშვიდი, პროვინციული, მდიდარი წარსულითა და თვითმყოფადი აწმყოთი უხვად მომადლებული. შუაში, თუ ჟენევის ტბა არა, სამკურნალო ტალახის წყარო მაინც წარმოვიდგინოთ და, ამის გარდა, იქვე მახლობლად შუა საუკუნეებიდან შემორჩენილი რაიმე უნიკალური ძეგლიც, რომელიც მხიარული ორთავა ღიმილით ეკეკლუცება ირგვლივ შემოჯარული ჯვარგუმბათოვნების მონოტონურობას.

წარმოვიდგინოთ რეგიონული ტელეარხიც, ქორწილებისა და გასვენებების ვიდეოებით, სასკოლო დადგმებით, რომლებსაც, რა თქმა უნდა, მათემატიკის მასწავლებელი მართავს, რათა არავინ შეამჩნიოს, რომ მათემატიკის საწყისები კარგა ხანია დაავიწყდა...

სწორედ ამ არხზე ერთი კვირის განმავლობაში გადაიცემა განცხადება, რომელიც ამჯერად გვაინტერესებს. ტექსტიდან, უნდა გამოგიტყდეთ, მხოლოდ ბოლო წინადადება დამამახსოვრდა, განსაკუთრებული მხატვრული გამომსახველობის წყალობით. განცხადება იუწყება, რომ ერთ-ერთ საღამოს ქალაქის მერია აწარმოებს მაწანწალა ძაღლებისაგან ქუჩების გაწმენდის ოპერაციას. სახელდება თარიღი, მაგრამ არაფერია ნათქვამი ოპერაციის დაწყების ზუსტ დროზე და მის ბუნებაზე. ახლა კი ის ბოლო წინადადება, რომელზედაც ზემოთ მოგახსენებდით: "მოსახლეობას ვთხოვთ გაითვალისწინოს ზემოთქმული".

შესანიშნავია!.. მაგრამ საკუთრივ რა გაითვალისწინოს? როგორ თუ რა?! — განა ხმამაღლა და გარკვევით არ იყო ნათქვამი? განა ნათქვამს ვიზუალური ტექსტიც არ ახლდა მათთვის, ვინც თვალით უფრო იგებს, ვიდრე ყურით? განა რაიმე შეკითხვა კიდევ დარჩა? — გათვალისწინებულ უნდა იქნას ზემოთქმული და არაფერი ზემოთქმულს გარდა!

ერთი სიტყვით, დგება დათქმული ჟამი და საღამოს ცხრა საათზე (ალბათ იმ ანგარიშით, რომ ზემოთქმულის გამთვალისწინებელი მოსახლეობა, ყველა, როგორც ერთი, მიუჯდა ნანატრ "კურიერ პოსტსკრიპტუმს") ქალაქის ქუჩებში ავტომობილებით გამოდიან მერიის თანამშრომლები და ქალაქის ქუჩებშივე იწყება შემხვედრი ძაღლების ჟლეტა სანადირო თოფებით. მოსახლეობას, უნდა ვიგულისხმოთ, "კურიერიც" ჩაამწარეს და "პოსტსკრიპტუმიც": პროვინციული ქალაქის სათუთი მიკროსამყარო დაიპყრო ავტომობილის მუხრუჭების წივილმა, სროლის ბათქებმა და სულთმობრძავი ცუგების წკმუტუნმა.

არა, ამჯერად ეს არ არის ლიტერატურული ვარჯიში: ასეთი რამ ალბათ მხოლოდ სტივენ კინგს მოუვიდოდა თავში, თანაც მხოლოდ მაშინ, თუ რევაზ გაბრიაძის ეპიგონობას გადაწყვეტდა. ოთხფეხთა ბართლომეს ღამე ჩვენს სანუკვარ ღვთივდაცულ ქვეყანაში მოაწყვეს. დაკვირვებული და მშობელი მიწის სიყვარულით გულანთებული მკითხველი უკვე მიხვდებოდა, რომ მოქმედების ადგილი ქალაქი გურჯაანია. ზუსტ დროსაც ახლავე შემოგაშველებთ: 2009 წლის 7 მარტი, შაბათი...

ახლა კი მთელი ამ ისტორიის პოლიტიზაციას ვეცადოთ. ამ გზაზე, რა თქმა უნდა, რამდენიმე ვარიანტის მოძებნაა შესაძლებელი და მათგან ყველაზე ადვილი შემდეგი იქნება: ესეც სააკაშვილის მმართველობის შედეგი! ამ ვარიანტზე ეგრევე უნდა ვთქვათ უარი. ჯერ ერთი, ძნელად დასაჯერებელია, თითქოს გურჯაანის მერიის თანამშრომელთა ველურობა რაღაც გარეგანი დირექტივის შედეგია, მეორეც, კიდევ უფრო ძნელია იმის დაჯერება, რომ ქართული საზოგადოების ცივილური რესურსი ჯადოსნურმა ძილმა მოიცვა და გამოსაღვიძებლად მხოლოდ რადიკალური ოპოზიციის კოცნაღა სჭირდება.



გავიხსენოთ, რას წერდა დავით აფრასიძე 9 მარტის სტატიაში დედლაინი, ანუ რა იყო ხვალ. აქ ოპოზიციის შესაძლო წარმატების მესამე აუცილებელ ფაქტორად დასახელებული იყო შემდეგი: "შეძლებენ სახელმწიფო ბიუროკრატიის, მათ შორის სამართალდამცველების სათავისოდ განწყობას". ავტორი მართალია, როცა ამბობს, რომ ამის კვალიც კი არ ჩანს, მაგრამ აქ სხვა რამე გვაინტერესებს: რის ხარჯზე არსებობს ის განწყობა, რომელიც ახლა არსებობს და ასეთი მტკიცეა? ეს სიმტკიცე სულაც არ არის საამაყო.

სწორედ აქ ვლინდება ჩვენი ცხოვრების ის ფუნდამენტური მხარე, რომელიც დღევანდელი სტატიის ობიექტად ვაქციე. ამიტომაც მჭირდება მომხდარის პოლიტიზირება, ხოლო პოლიტიზირებაში ამჯერად სხვა რამეს ვგულისხმობ: არა ფაქტების გადმოტანას პოლიტიკური დებატების არენაზე, არამედ იმის ჩვენებას, რომ პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ სივრცეში მოვლენებს ზუსტად იგივე შინაგანი ფაქტორები ამოძრავებს, რაც ღამეული გურჯაანის ქუჩებში.

ამის საჩვენებლად კი ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია დაუცველ ოთხფეხთა ჟლეტის კიდევ ერთი მოყვარული, ეკონომიკური განვითარების ყოფილი მინისტრი, აწ კი სახელმწიფო სახსრების მითვისებისათვის ძებნილი ირაკლი ოქრუაშვილი და მისი ბოლო არშემდგარი ინტერვიუს ფათერაკები.

პირველი არხის უარის შემდეგ, როგორც ვხედავთ, სკანდალი ვერ ატყდა. ჰორიზონტზე მხოლოდ ორი ქალი ჩანს: ეკა ბესელია (გასაგებია რატომ) და ინგა გრიგოლია, რომელსაც უკვე ჩვევად ექცა ის სავალალო გარემოება, რომ საქართველოში არავის ჩაძირვა არასოდეს არ ხდება ბოლომდე.

ამ ეროვნულ თავისებურებას კიდევ დავუბრუნდებით, ახლა კი გურჯაანის მერიასა და პირველი არხის მენეჯმენტს შორის პარალელები განვიხილოთ:

ორივეს აქვს პირდაპირი მოვალეობა: 1) ქალაქის მართვა და შესაბამისი პრობლემების მოგვარება; 2) მაუწყებლის შესახებ კანონით გათვალისწინებულის უზრუნველყოფა.

ვერც ერთი ამას ვერ ასრულებს სათანადოდ: 1) გურჯაანს წლების განმავლობაში არ უვარგა წყალმომარაგება; 2) პირველი არხის გადაცემები მხოლოდ იმათ თუ მოსწონთ, ვისი ნათესავებიც მუშაობენ იქ.

საზოგადოების მდუმარება ორივეს აძლევს "ჭიის გახარების" საშუალებას: 1) პრიმიტიული სულის ადამიანებს ალბათ ძალიან მოსწონთ ცარიელ ქუჩებში მანქანით ნავარდი და თოფის სროლა, სისხლიც აღაგზნებთ; 2) ასევე სასიამოვნოა საზოგადოებრივი მაუწყებლის ტკბილ "მეჟდუსაბოიჩიკად" გადაქცევა რამდენიმე მარტივი გარეგნული პირობის დაცვით.

ორივე იცავს, ასე ვთქვათ, უსაფრთხოების მარტივ ტექნიკას: 1) აკი ტელევიზიით მთელი კვირის განმავლობაში გადავცემდით განცხადებას "ზემოთქმულის" გათვალისწინების შესახებ; 2) ნუ დაგვინგრევთ "მეჟდუსაბოიჩიკს", ჩვენ კი ყოველთვის კეთილსაიმედონი და ლოიალურნი ვიქნებით — აქედან ოქრუაშვილის ინტერვიუზე უარის თქმის უცნაური და ბუნდოვანი დასაბუთება.

წარმოვიდგინოთ, რომ სპირიტისტული სეანსი შედგა და კვლავ ვიხილეთ ოქრუაშვილის ინტერვიუ. რა შედეგს გამოიღებს ეს? — რა თქმა უნდა, არავითარს. ინტერვიუში ვერ გავიგონებთ ვერც ერთ ჭკვიანურ შეკითხვას და ვერც ერთ გონიერ პასუხს. შედეგად, ყველა კიდევ ერთხელ დარწმუნდება საკუთარი პოლიტიკური არჩევანის სისწორეში. ამით არც რეიტინგი გაიზრდებოდა მაინცდამაინც (შევარდნაძის ინტერვიუზე მეტად) და არც დიდი შემოსავალი იქნებოდა, რადგან არხის ბუნებიდან გამომდინარე, შემოსავლის წყარო სწორედ ის წყნარი "მეჟდუსაბოიჩიკი" არის, ვიდრე ხმაურიანი სკანდალები.

ჰოდა, არხის მენეჯმენტისთვის სწორედ სტატუს კვოს შენარჩუნება არის მთავარი. ეს კი ძალიან ადვილია იმ პირობებში, როცა ხელისუფლების თითოეულ წევრს (ვისაც კი მიკროფონიანი გოგონები კომენტარისთვის მიმართავენ ხოლმე) მშვენივრად ესმის, რომ ოქრუაშვილი აქ ფაქტორი ნამდვილად არ არის და სრულიად დაწყნარებული სინდისით ამბობს, რომ ყველაფერი მენეჯმენტის გადასაწყვეტია და თვითონ არაფერში ერევა.

ერთი შეხედვით, პარალელები ხელოვნურია. მაგრამ ჩვენი ცხოვრების მთავარი ხელოვნურობა ხომ იმაში მდგომარეობს, რომ ყველაფერს პოლიტიკა წყვეტს და ბევრი სრულიად არაპოლიტიკური პროცესისა თუ მოვლენის ნამდვილი საზრისი მხოლოდ ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიმართების კონტექსტში ჩანს. ასეა აქაც: საკმარისია გავიხსენოთ ერთი გარემოება, რომ ყველაფერი ადგილზე დადგება და ხელოვნურობის შეგრძნებაც მიგვატოვებს.

ეს ერთი გარემოება კი შემდეგია: რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ 2003 წლიდან დღემდე დაშვებულ შეცდომებზე, არც ერთი მათგანი არ შეედრება იმას, რომ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარება შენელდა და თითქმის შეჩერდა. აღარ მახსოვს, მაგრამ მეც კი ვწერდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ვარდების ხელისუფლებამ გადაწყვიტა, თითქოს ყველაფერი კარგად არის და არასამთავრობოები აღარ გვჭირდებაო. როგორც ეტყობა, ვიღაც ზედმეტი სერიოზულობით მოეკიდა ლოზუნგს "საქართველო შევარდნაძის გარეშე" და სამოქალაქო საოზგადოების სტრუქტურები ამ ტაქტიკური მიზნის შესასრულებელ დროებით საშუალებად მიიჩნია. სტრატეგიისა და ტაქტიკის ერთმანეთში არევა ძალიან სახიფათოა. მოგვიანებით სწორედ ამის გამო შეიქმნა ის გონებრივი ძილი, რომელიც თოფიან და ტელეკამერიან მონსტრებს ქმნის.

ამიტომაც, ამდენი ხნის ნაწვალები განათლების რეფორმის შემდეგ მაინც სჭირდება დღეს საზოგადოებას იმის გახსენება, რისთვის და როგორ ფუნქციონირებს სკოლებში სამეურვეო საბჭოები და, საერთოდ, რისთვის არსებობს განათლება.

ამიტომაც სდუმს საზოგადოება, როცა განათლების სამინისტრო რის ბაქი-ბუქით გვამცნობს, რომ მაგისტრანტთა დასაფინანსებლად 5 მილიონ ლარს იმეტებს და არავის ჰყოფნის გამბედაობა იკითხოს: თუ საქართველო მართლაც ასე ერთსულოვნად მართლმადიდებელია და საპატრიარქო მართლაც ყველაზე სანდო და პატივცემული ინსტიტუციაა, რატომ ვერავინ ბედავს იმის ასევე ხმამაღლა "გაპიარებას", რომ საპატრიარქოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 25 მილიონი ლარი მიაქვს, ანუ ხუთჯერ მეტი, ვიდრე მომავალი თაობის საზღვარგარეთ განათლებაზე დაიხარჯება.

ამიტომაც არის აღსავსე ჩვენი ცხოვრება, ასე ვთქვათ, სიმბოლური პარადოქსებით: 9 აპრილის მომლოდინე "ქართველი ერი" 13 მარტს, უცნობი "გრეჩიხას" კონცერტის შემდეგ შემოეხეტება რუსთაველზე, ანაგვიანებს პარლამენტის წინ ტროტუარს, რის შედეგად ცეცხლი ედება 9 აპრილის მონუმენტს. მაგრამ ამგვარი პარადოქსების მოწმეთაგან არავის უჩნდება შეკითხვები, რადგან ეს ყბადაღებული "საპროტესტო მუხტი" თავისი ბუნებით სხვა არაფერია, თუ არა გურჯაანის მერიის თანამშრომელთა ხუშტური.

ეკონომიკური განვითარების შენელებისა და რთული საგარეო პოლიტიკური ვითარების გარდა ჩვენ წინაშე კიდევ ერთი და ალბათ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა დგას: ახლა უკვე ჩვენი წინსვლის დამაბრკოლებელი მთავარი ფაქტორი არა იმდენად მცდარი პოლიტიკური არჩევანია, რამდენად იდიოტიზმი; არა იმდენად ლევან პირველის შესაძლო ფინანსური მონაწილეობა ან თენგიზ კიტოვანის სამხედრო გენია, რამდენად ის, რომ ცალსახად თვალსაჩინო რამეების განმარტება გვიჭირს ადამიანებისათვის.

ამბობენ, ჯულიო ანდრეოტის ერთხელ მოძღვარმა უსაყვედურა: ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ფუძემდებელი, ალჩიდე დე გასპერი ეკლესიაში რომ შემოდიოდა, ღმერთს ეზრახებოდა, შენ კი მხოლოდ მღვდელს ესაუბრებიო. ანდრეოტის წარბი არ შეუხრია: "მღვდლები არჩევნებში მონაწილეობენ, ღმერთი კი არა". როდესაც დიდი ხნის განმავლობაში ადამიანებს მხოლოდ ამომრჩევლებად განიხილავენ, თანდათანობით იკარგება კავშირი ჭეშმარიტებასთან. რა თქმა უნდა, ეს ჭეშმარიტებაც დროებითია, მიწიერია, უფრო ზუსტად, ისტორიულია, მაგრამ არ შეიძლება მისი გამოტოვება, უგულებელყოფა, არ შეიძლება სტრატეგიისა და ტაქტიკის ერთმანეთში აღრევა, რადგან სწორედ ამას მოაქვს საბოლოო შედეგად ძაღლებისთვის ბართლომეს ღამე, პოლიტიკოსებისთვის კი გადატრიალების მცდელობა.

გთხოვთ გაითვალისწინოთ ზემოთქმული.

## ჩოჩიევის მუქარა

ოსი მარიონეტების ლიდერის ედუარდ კოკოითის რწმუნებული პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში ბორის ჩოჩიევი აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 1 აპრილიდან ე.წ. სამხრეთ ოსეთი გორის რაიონის მოსახლეობას წყლის მიწოდებას შეუწყვეტს. ჩოჩიევის განმარტებით, სეპარატისტები ამგვარ ზომას იმის გამო მიმართავენ, რომ ქართული მხარე წყლის საფასურის გადახდაზე უარს აცხადებს. "ეს არ არის შანტაჟი. ეს არის სიგნალი ეუთო-სა და სხვა საერთაშორისო ორგანიაზციებისათვის, მათ შორის თავად საქართველოსათვის, რომელმაც სხვათა შორის, ზამთარში სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას გაზი გადაუკეტა", - აცხადებს ბორის ჩოჩიევი.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## მიხეილ სააკაშვილი: საქართველოში რევანშისტები თავის მიზნებს ვერ მიაღწევენ

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საქართველოში რევანშისტები თავის მიზნებს ვერ მიაღწევენ, რადგან "ეს ის საქართველო აღარ არის". პრეზიდენტმა ეს განცხადება ლევან პირველის მისამართით გააკეთა, რომელიც შევარდნაძის მმართველობის პერიოდში დეპუტატი და ბიზნესმენი იყო, სააკაშვილის გაპრეზიდენტების შემდეგ კი ქვეყანა დატოვა და ამ დრომდე ავსტრიაში ცხოვრობს. ლევან პირველი ქართულ ტელევიზიებში რამდენიმე დღის წინ გამოჩნდა, როდესაც ვენაში ქართული ოპოზიციის წარმომადგენელთა შეხვედრა გაშუქდა.

" ტელევიზიით ვიხილე, ქართული ენერგომაფიის მამა ლევან პირველი როგორ გვარიგებდა ჭკუას ვენიდან. ეს არის ნამდვილი კრიმინალი, რომლის გამო და მისი და მასთან მთავრობაში დაკავშირებული ხალხის გამო, საქართველო იყო ჩაბნელებული ათწლეულზე მეტის განმავლობაში. ისინი აკეთებდნენ ფულს დენის მაქინაციებზე და იმაზე, რომ ჩვენ გვშიოდა და სახლები ჩაბნელებული გვქონდა,- განაცხადა სააკაშვილმა, - სხვა თუ არაფერი, დღისით, მზისით ახალგაზრდა ბიჭი მოკლა თავის მეუღლის თვალწინ. ყველაფერი ეს შერჩა, გაიქცა ვენაში და იქიდან აპირებს თურმე საქართველოს მოაჯდეს ხელახლა სხვადასხვა მაქინაციების გამოყენებით. ნურას უკაცრავად! - ეს ის საქართველო აღარ არის და მათ ეს ნამდვილად აღარ გამოუვათ,"- აღნიშნა მან.

პრეზიდენტმა ეს განცხადება ქუთაისში ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის ახალი შენობის პრეზენტაციაზე გააკეთა. მისი თქმით, საქართველო მზადაა, "ასწავლოს დანარჩენ ევროპას, თუ როგორ განავითაროს ენერგეტიკა". მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ელექტროენერგია ქვეყანამ მთავარ საექსპორტო დარგად უნდა აქციოს, მათ შორის - ახალი ჰიდროელექროსადგურების მშენებლობის გზით. "უახლოეს მომავალში ჩვენ გავხსნით 80 მგვტ სიმძლავრის ფარავნის ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას. ეს იქნება პირველი დიდი ელექტროსადგურის მშენებლობა საქართველოში დამოუკიდებლობის შემდეგ,"- განაცხადა მან.

პრეზიდენტმა ასევე ისაუბრა ქუთაისის, როგორც საქართველოს მეორე დედაქალაქის, განვითარების გეგმებზე, რომელიც მისი თქმით, 2011 წელში "მეორე პარიზი" გახდება.

**მედიანიუსი**

## ინციდენტის ორი განსხვავებული ვერსია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ძველი თბილისის რაიონის დაცვის პოლიციის ავტომანქანის აფეთქებაში 13 მარტის აქციის მონაწილეებს ადანაშაულებს. როგორც შსს-ს ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, 13 მარტს რუსთაველის გამზირზე ოპოზიციის მიერ გამართული აქციის დამთავრების შემდეგ, მისმა მონაწილეებმა ძველი თბილისის რაიონის დაცვის პოლიციის შენობასთან ხელყუმბარა ესროლეს დაცვის პოლიციის ავტომანქანას, რის შედეგადაც ავტომანქანა მთლიანად დაზიანდა და დაიწვა.

სამინისტროს ცნობით, შემთხვევის ადგილზე კრიმინალისტიკურმა სამსახურმა ჩაატარა შესაბამისი სამუშაოები, რის შედეგადაც დადგენილია, რომ გამოყენებულია რგდ -ს ტიპის ხელყუმბარა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიმდინარეობს თვითმხილველთა და მოწმეთა დაკითხვა.

ამ აფეთქებასთან დაკავშირებით დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ მეთიუ ბრაიზასთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა კომენტარი. მან განაცხადა, რომ ინციდენტი მისი პარტიის წინააღმდეგ იყო მიმართული. ბურჯანაძის თქმით, აფეთქებამდე 2-3 წუთით ადრე შემთხვევის ადგილთან მისი პარტიის წევრებმა გაიარეს. როგორც ბურჯანაძემ აღნიშნა, ამ ინციდენტის შესახებ ინფორმაცია მეთიუ ბრაიზასაც მიაწოდა.

**ინტერპრესნიუსი**

# რუსეთი როგორიც გვგონია და როგორიც შეიძლება არის

პირველი გვერდიდან

დასაწყისშივე უნდა ვთქვათ, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში გადაწყვეტილების მიღებისას ყველაზე "ცუდი სცენარიც" უნდა გავითვალისწინოთ. ამდენად, შეიძლება სწორია დაშვება, რომ საქართველოს ინტერესებში დასუსტებული რუსეთი შედის, რომელიც დასავლეთის გავლენას ემორჩილება, მაგრამ დამღუპველია ამ დაშვების რეალური პოლიტიკის ამოსავალ წერტილად აღება. მარტივად რომ ვთქვათ, რას ვშვებით, თუ დაშვება მცდარი აღმოჩნდა?

მოდით ახლა თვალი გადავავლოთ რუსეთის ძლიერ და სუსტ მხარეებს. ამ ქვეყნის პარადოქსი ისაა, რომ ერთი და იგივე ფაქტორი შეიძლება სისუსტესაც ასაზრდოებდეს და ძლიერებასაც. ამასთან, შეგნებულად არ შევეხები პოლიტიკურ სისტემას, არმიასა და ბირთვული შეიარაღების ფაქტორს, რადგან ამ საკითხებზე ისედაც ხშირია დისკუსია.



*რუსი ერი სხვადასხვა დემოგრაფიული გამოწვევის წინაშე დგას - ესაა ალკოჰოლიზმი, შობადობის დაბალი დონე.*

### სუსტი რუსეთი - ეკონომიკა, მოსახლეობა, გეოგრაფია, გარემო

რუსეთის სისუსტეზე საუბარს ყოველთვის ეკონომიკური კატეგორიებით იწყებენ. მართლაც, ამ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, ჩამორჩება ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანას ცალ-ცალკე. ეკონომიკური ცხოვრება რუსეთის დასავლურ ნაწილში, ისიც მოსკოვსა და პეტერბურგში დუღს, რეგიონებში კი ცხოვრების ხარისხი უკიდურესად დაბალია. ენერგეტიკის სფეროშიც კი, რაც რუსეთის ყველაზე განვითარებულ დარგად მიიჩნევა, იგი დამოკიდებულია დასავლეთის გასაღების ბაზარზე და ტექნოლოგიებზე. ბოლო ხანებში რუსეთის გაძლიერება, ძირითადად, ნავთობისა და გაზის მოტანილი ფულით მოხდა. მონოგანვითარება კი, ქვეყნის ეკონომიკური სისტემის სისუსტეზე მიუთითებს. ენერგორესურსებზე ფასების დაცემის, პირდაპირი საგარეო ინვესტიციების გადინების ფონზე სავალუტო რეზერვების შემცირება, საფონდო ბირჟების კრიზისი იმის ინდიკატორია, რომ რუსეთის ეკონომიკა ახლა კოლაფსის პირასაა.

რუსეთის სისუსტეა მისი მოსახლეობა რამდენიმე მიზეზის გამო: პირველი, რუსი ერი სხვადასხვა დემოგრაფიული გამოწვევის წინაშე დგას - ესაა ალკოჰოლიზმი, შობადობის დაბალი დონე. შედეგად, რუსეთის მოსახლეობა განაგრძობს შემცირებას და სხვადასხვა გათვლებით (მაგალითად, გაერო-ს), 2050 წლისათვის 143 მილიონიანი მოსახლეობა შეიძლება მესამედით შემცირდეს. ამასთან, რუსეთი ეთნიკურად და რელიგიურად ძალიან ჭრელი ქვეყანაა. მართალია, ჯამში, რუსები მოსახლეობის დაახლოებით 80 პროცენტს შეადგენენ, მაგრამ ეთნიკური კომპოზიცია რეგიონიდან რეგიონში ძალიან განსხვავებულია. მაგალითად, ჩეჩნეთში მოსახლეობის მხოლოდ 3 პროცენტია რუსი. ასევე, ქვეყანაში დაახლოებით 20 მლნ მუსლიმია, რითაც ისლამი მართლმადიდებლობის შემდეგ მეორე რელიგიაა. აქვე უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით ყველა ეს ადამიანი ისლამის აქტიური მიმდევარი არაა, თუმცა, სახეზეა ზრდის ტენდენცია.

მოსახლეობის პრობლემა პირდაპირ უკავშირდება გეოგრაფიას - რუსეთი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მეჩხერად დასახლებული ქვეყანაა. როგორც 1930-იან წლების გერმანიაში ამბობდნენ, რუსეთი ესაა მიწა მოსახლეობის გარეშე. 17 მილიონ კვადრატულ კილომეტრზე გადაჭიმულ ქვეყანაში მოსახლეობის ძირითადი ნაწილი თავმოყრილია მოსკოვისა და პეტერბურგის არეალში. დააკვირდით, რუსეთში ერთ კვადრატულ მეტრზე საშუალოდ 8-9 ადამიანი ცხოვრობს, ხოლო ჩინეთში ეს მაჩვენებელი 138-ია. მოსკოვს, სისუსტის დროს, ძალიან უჭირს შორეული ტერიტორიების კონტროლი. ასე იყო 1920-იან და 1990-იან წლებში, როცა პერიფერიებზე არაერთი დე-ფაქტო ხელისუფლება ჩამოყალიბდა.

რუსეთის მუდმივი პრობლემაა მისი გარემო - მას, ფაქტობრივად არა აქვს ბუნებრივი საზღვრები (ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანისა და კავკასიის გამოკლებით). შედეგად, რუსეთს არასდროს ჰყოლია მეგობრები. რუსეთის ყოველთვის ეშინოდათ ევროპაში, სხვადასხვა ქვეყნები მასთან კავშირს კრავდნენ პრაგმატული მიზნებისა და არა საერთო ღირებულებების გამო. დღესაც, რუსეთის მეგობრები ღიმილს იწვევს - ჰამასი, ჩავესი, ორტეგა. არც ირანს და მით უფრო, ჩინეთს მოსკოვთან გულითადი მეგობრობა არ სურს, რომ არაფერი ვთქვათ, მის "უფროს ძმობაზე". ერთი სიტყვით, რუსეთი საერთაშორისო პოლიტიკაში მუდმივად მარტოსულია.

### ძლიერი რუსეთი - ეკონომიკა, მოსახლეობა, გეოგრაფია, გარემო

რუსეთის ეკონომიკა არ ჰყვავის, მაგრამ იგი ბუნებრივი რესურსებით, შეიძლება ითქვას, ყველაზე მდიდარი ქვეყანაა მსოფლიოში. ენერგორესურსებს იგი არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მიზნებითაც იყენებს. რუსეთში უხვადაა სხვა წიაღისეულიც - ძვირფასი ლითონები, ხე-ტყე, ურანი და ა.შ. უკიდეგანო სივრცე სოფლის მეურნეობის განვითარების საშუალებას იძლევა. მოკლედ რომ ვთქვათ, რუსეთი ერთ-ერთი ყველაზე თვითკმარი ქვეყანაა მსოფლიოში და შეუძლია პროტექციონიზმის უფლება მისცეს თავს.

რუსეთის ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია მისი მოსახლეობა. მცირე, ელიტური ნაწილის გარდა, მოსახლეობას ისტორიულად ჩამოუყალიბდა კეთილდღეობის მინიმალისტური გაგება - მისთვის საკმარისია საარსებო მინიმუმი და წესრიგი. წესრიგი არ ასოცირდება კომფორტთან, არამედ რკინის ხელთან. რუსეთის მოქალაქე კანონმორჩილია, მაგრამ არ კითხულობს, რამდენად სამართლიანია კანონი. შესაბამისად, ელცინის პერიოდს რუსეთში იხსენებენ არა თავისუფლების ხანად, არამედ ქაოსად. რუსეთის მოსახლეობისათვის ბუნებრივია პუტინის "სუვერენული დემოკრატია". რუსეთში მოსახლეობას უკიდურესად უნდა გაუჭირდეს, მართლა პური და წყალი აღარ უნდა ჰქონდეს, რათა ქუჩაში გამოვიდეს და ხელისუფლებას მოთხოვნები წაუყენოს. რუსეთის პოლიტიკურ სისტემაში, გარკვეულწილად, ძლიერების ფაქტორია ეთნიკური სიჭრელეც - საკმარისია ერთმანეთთან დააპირისპირო ეთნოსები, კლანები, დაეხმარო ხან ერთს, ხანაც მეორეს, დანარჩენი კი თავისით მოგვარდება.

გეოგრაფია და კლიმატი რუსეთის ძლიერებაა - ესაა უკიდეგანო ტრამალები და ცნობილი "რუსული ყინვა", რომელიც საკუთარ თავზე გამოსცადეს ნაპოლეონმა და ჰიტლერმა. რუსეთის კონტროლი, ტრადიციული გაგებით, შეუძლებელია. ასევე შეუძლებელია მასზე ეფექტიანად გავრცელდეს საერთაშორისო კონტროლის მექანიზმები. მაგალითად, მოსკოვი შეიძლება დაყაბულდეს ჩვეულებრივი შეიარაღების მექანიზმებს ევროპაში და საკუთარი ჭარბი შეიარაღება გადაიტანოს (თუ გადამალოს) ურალის მთებს მიღმა, იქ ხომ ევროპა აღარაა.

გეოგრაფია პოლიტიკურ გარემოსაც განსაზღვრავს. რუსეთს, როგორც ვთქვით, მუდმივი მეგობრები არ ჰყავს (თან, ბრიტანეთისგან განსხვავებით, მას არც არავინ ემეგობრება), მაგრამ მას მუდამ ჰყავს დროებითი "კლიენტები". იყო დრო, რუსეთის ძლიერება გერმანიის საპირწონედ სჭირდებოდათ საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ს. ახლა რუსეთის კოლაფსი გაუთვლელ გეოპოლიტიკურ ძვრებს გამოიწვევს ჩინეთთან მიმართებაში. აშშ და ევროპა კარგად ხვდებიან, რომ რუსეთის ნდობა არ შეიძლება, მაგრამ სხვა გზა არ აქვთ, რადგან ავღანეთისა და ირანის საკითხები შეიძლება საერთოდ უკონტროლო გახდეს.

# ინტერნეტბაზარს საქართველოში ზრდის დიდი პერსპექტივა აქვს

მანანა ვარდიაშვილი

*2007 წელს On-line რეჟიმში ინფორმაციის რეგულარული მიღების საშუალება საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 7 პროცენტს ჰქონდა - ეს სტატისტიკური მონაცემი Freedom House-მა მედიის თავისუფლების შეფასებისას საგანგებოდ აღნიშნა. ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით ინტერნეტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ეს რუსეთის მხრიდან საქართველოსთვის თავსმოხვეულმა სამხედრო აგრესიამაც დაადასტურა. ელექტრონული კომუნიკაციის ეს სფერო 2008 წლის აგვისტოში ჩრდილოელი მეზობლის თავდასხმის მთავარი ობიექტი იყო - რა თქმა უნდა, არა შემთხვევით. ქართულმა ინტერნეტმა ამ თავდასხმას ბალტიისპირელი მეგობრების დახმარების წყალობით გაუძლო. ზოგადად, ქართული ინტერნეტის განვითარების დონე კი შესაძლოა ერთადერთი სიტყვით შეაფასო - სავალალო.*

კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მონაცემებით, საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზარზე ინტერნეტით მომსახურება მობილური კომუნიკაციის შემდეგ ყველაზე მზარდი და მომგებიანი სეგმენტია. შესაბამისად, ინტერნეტბაზარზე წილების გადანაწილებისთვის დაწყებული ბრძოლაც სულ უფრო მწვავდება. ბოლო 2 წლის განმავლობაში ინტერნეტბაზრის უმსხვილეს პროვაიდერ კავკასუს ონლაინის" საბაზრო წილი 90-დან 53 პროცენტამდე შემცირდა. სამაგიეროდ, კონკურენტი პროვაიდერის - გაერთიანებული ტელეკომის" წილი სულ უფრო იზრდება. კონკურენტებს შორის ბაზრის გადანაწილებისთვის დაწყებული ბრძოლა კი ცივილური კონკურენციის ფორმას დიდი ხანია გაცდა.

ინტერნეტბაზრის ზოგადი შეფასებისთვის სტატისტიკური მონაცემები მოვიშველიოთ: კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მონაცემებით, 2000-2007 წლებში ინტერნეტის ქსელით მომსახურების ბაზრის სეგმენტზე მოქმედი ოპერატორების შემოსავლები 3,15 მილიონი ლარიდან 30 მილიონ ლარამდე გაიზარდა. 2006 წელს საერთო შემოსავლების მოცულობამ (26,15 მილიონი ლარი) წინა წელთან შედარებით 32 პროცენტით მოიმატა. 2006 წლის ბოლოს ADSL ტექნოლოგიით ინტერნეტის მომხმარებლების საერთო რაოდენობა, 2005 წელთან შედარებით, 80 პროცენტით გაიზარდა. თუ 2007 წლის ბოლოს საქართველოში ინტერნეტით 50 000 ადამიანი სარგებლობდა, 2008 წლის ბოლოსთვის ამ ციფრმა 115 000-ს გადააჭარბა. ექსპერტთა შეფასებით, ინტერნეტბაზარს საქართველოში ზრდის დიდი პერსპექტივა აქვს. სწორედ ეს პერსპექტივა განაპირობებს პროვაიდერთა შორის არსებულ მწვავე დაპირისპირებასაც. თუმცა, გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა 2009 წლის პროგნოზი საქართველოში ინტერნეტის განვითარების შესახებ უკვე შეცვალა: საბანკო სესხების მიუწვდომლობის გამო კომპიუტერული ტექნიკითა და აქსესუარებით მოვაჭრე ბევრი ფირმა და მაღაზია უკვე გაკოტრდა. ამდენად, წლევანდელი წელი ინტერნეტბაზრის ზრდის დინამიკით გამორჩეული ნამდვილად არ იქნება.

2008 წლის ბოლოსთვის ინტერნეტ-პროვაიდერების წილი შემდეგნაირად გადანაწილდა: კავკასუს-ონლაინი" - 57 პროცენტი, გაერთიანებულ ტელეკომი" - 33 პროცენტი, "ახალი ქსელები" და "ახტელი" - 6,5 პროცენტი, სერვის ნეტი" - 0,5 პროცენტი, სხვა დანარჩენი ოპერატორების საერთო წილი კი სულ რაღაც 3 პროცენტი იყო.

ერთი შეხედვით, ინტერნეტის ქართულ ბაზარს არაკონკურენტულს ვერ დაარქმევ - ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ბაზარზე მუდმივად 20-ზე მეტი პროვაიდერი კომპანია საქმიანობს. მიუხედავად ამისა, ბოლო 2-3 წლის განმავლობაში ინტერნეტბაზარზე მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე კომპანიები ჩამოყალიბდნენ: კომპანია კავკაზუს ნეთვორქმა" 2006 წელს სანეტთან" და ჯორჯია ონლაინთან" განხორციელებული შერწყმის შედეგად 2007 წლისთვის ბაზრის 90 პროცენტი დაიკავა. გაერთიანებულმა ტელეკომმა"კი 2006 წლის მაისში სახელმწიფო კომპანია ელექტროკავშირი" საკომუნიკაციო ჭებთან ერთად 90 მილიონ დოლარად შეიძინა და DSL წყვილებისა და საკომუნიკაციო არხების ექსკლუზიური მფლობელი გახდა.

გაერთიანებული ტელეკომი" ბოლო დრომდე ინტერნეტის ბაზარზე წარმოდგენილი არ იყო. მდგომარეობა 2007 წელს შეიცვალა, როცა გაერთიანებული ტელეკომი" ბაზრის წილის დაუფლებას შეეცადა. ამ დროიდან ბაზრის ყველაზე მსხვილ პროვაიდერსა და ინფრასტრუქტურის ექსკლუზიურ მფლობელ კომპანიას შორის დაუნდობელი ბრძოლა იწყება. პრობლემის თავი და თავი ის იყო, რომ კავკასუს ონლაინი" ინტერნეტის მისაწოდებლად გაერთიანებული ტელეკომისა" და ახალი ქსელების" სატელეფონო ხაზებს იყენებდა. მათ კი კავკასუს ონლაინს" საკუთარი ADSL წყვილების გამოყენების უფლება არ მისცეს.

კავკასუს ონლაინმა" ალტერნატიული გზა მონახა და, ADSL ტექნოლოგიის პარალელურად, თბილისში ე. წ. ჯე-ლინკის (ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელი) ტექნოლოგია შემოიტანა. ოპტიკურ-ბოჭკოვანმა ქსელმა დედაქალაქის დიდი ნაწილი დაფარა. ახალი ქსელების" და გაერთიანებული ტელეკომის" სატელეფონო აბონენტებმა კომპანიის და ფიქსირებული სატელეფონო ნომრის შეცვლას ჯე-ლინკის ქსელში ჩართვა ამჯობინეს. კავკასუს ონლაინმა" ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის მეშვეობით უამრავი ახალი მომხმარებელი შეიძინა. მაგრამ ჯე-ლინკის ქსელის მონტაჟიდან ერთი წლის შემდეგ საქალაქო ზედამხედველობის სამსახურმა კავკასუს ონლაინი" ინტერნეტის ქსელის უკანონო მშენებლობაში დაადანაშაულა და თბილისის 6 უბანში ოპტიკური კაბელები გადაჭრა. ამავე დროს გაერთიანებულმა ტელეკომმა" მომხმარებელს 1 მეგაბიტი/წამში სიჩქარის ლოკალური და გლობალური ინტერნეტი ყველაზე მინიმალურ ფასად - თვეში 15 ლარად შესთავაზა. ინტერნეტმომსახურების დაბალი საფასურის შეთავაზებით გაერთიანებულმა ტელეკომმა" ინტერნეტბაზრის საკუთარი წილი 33 პროცენტამდე ასწია.

კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ინფორმაციით, ინტერნეტმომსახურების მაქსიმალური თვითღირებულება 11.34 ლარია. წლების განმავლობაში საქართველოში მოქმედი ინტერნეტპროვაიდერები 300-პროცენტიანი მოგების მარჟაზე მუშაობდნენ (კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მონაცემებით კავკასუს ონლაინის" მოგება 2007 წელს 95 პროცენტით გაიზარდა). კოლოსალური მოგებიდან დარგის ინვესტირებას არაფერი მოხმარებია: ქართველი მომხმარებელი ინტერნეტმომსახურებაში ფაქტობრივად ევროპულ ფასს იხდის, სანაცვლოდ კი ჭეშმარიტად ქართული დონის პროდუქტს იღებს. მსოფლიო ბანკის კვლევის თანახმად, ქართველები ე.წ. ინტერნეტმომსახურების საფასო კალათში" 9,90 აშშ დოლარს იხდიან, ხოლო ევროპელები - 11,10 აშშ დოლარს. თუმცა ხარისხი, რომელიც ინტერნეტის გამტარუნარიანობით (ბიტები თითო მომხმარებელზე) განისაზღვრება, საქართველოში უკიდურესად დაბალია. ხარისხის შეფასების მხრივ ევროპის 268 ქულის საპირწონედ საქართველომ მხოლოდ შვიდი ქულა მოაგროვა. გარდა ამისა, საქართველოში ინტერნეტმომსახურება ხშირად საათობით, ზოგჯერ კი რამდენიმე დღითაც წყდება.

კომპანიებმა ინტერნეტმომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პირველი ნაბიჯები გასულ წელს გადადგეს. საქართველოში ინტერნეტის იმპორტი ძირითადად აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან ხდებოდა. რამდენიმე თვის უკან კავკასუს ონლაინმა" ფოთი-ვარნას დამაკავშირებელი ოპტიკურ-ბოჭკოვანი წყალქვეშა მაგისტრალის მშენებლობა დაასრულა. პროექტი, რომლის მშენებლობაც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა დააფინანსა, 50 მილიონი დოლარი დაჯდა, სამომავლოდ კი ამ ინვესტიციის 75 მილიონ დოლარამდე გაზრდა იგეგმება. 1400-კილომეტრიანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალის გამტარუნარიანობა წამში 1,3 ტერაბიტია. ფოთი-ვარნას მაგისტრალის ამოქმედებამ ცვლილებები გამოიწვია არა მარტო ინტერნეტის სიჩქარეში, არამედ პროვაიდერის სატარიფო პოლიტიკაშიც. კერძოდ, Gelink-ის მომსახურებაზე მინიმალური პაკეტის ღირებულება უკვე 7 ევროდან იწყება და ამ პაკეტის მომხმარებელი 1 მეგაბიტ/წამში სიჩქარის ლოკალურ და გლობალურ ინტერნეტს იღებს.

გაერთიანებული ტელეკომი" კი ფრანკფურტის დატა-ცენტრს მიუერთდა. 4 მილიონი დოლარის ღირებულების პროექტის განხორციელების შედეგად აბონენტებს საშუალება აქვთ, თვეში 1 მეგაბიტი/წამში სიჩქარის ინტერნეტით (როგორც გლობალური, ისე ლოკალური) 15 ლარად ისარგებლონ (მინიმალური პაკეტი). ფრანკფურტიდან კომპანია 2,5 გიგაბიტ სიმძლავრეს იღებს. გაერთიანებული ტელეკომის" ინტერნეტ-სერვისით ამჟამად 35 ათასი აბონენტი სარგებლობს. კომპანიამ საკუთარ მომხმარებელს CDMA ტექნოლოგიის ინტერნეტსერვისიც შესთავაზა. ამ მომსახურებით ამჟამად 3 000-მდე აბონენტი სარგებლობს.

საკუთარ ინტერნეტმომხმარებლებს სატარიფო ცვლილებები ახალმა ქსელებმა" და ახტელმაც" შესთავაზეს: 40-ლარიანი პაკეტი 35 ლარი გახდა, ხოლო 24-ლარიანი - 20 ლარი. გარდა ამისა, გასულ წელს WIMAX ტექნოლოგიის ინტერნეტმომსახურებაც დაინერგა. ეს სერვისი მაქსიმალმა" კომერციულ რეჟიმში უკვე გაუშვა. ინტერნეტსერვისი საკუთარ აბონენტებს მაგთიკომმაც" შესთავაზა. ქსელში ჩართვა 60 ლარადაა შესაძლებელი. ახალ, სახლის უსადენო ტელეფონს კი უკვე გააქტიურებული ინტერნეტსერვისითა და ანგარიშზე დარიცხული 10 ლარით, მომხმარებელი უფასოდ იღებს. ინტერნეტმომსახურების ტარიფი წუთში 1 თეთრია.

**TOP.GE-ს მონაცემებით, პროვაიდერი კომპანიების რეიტინგი ამჟამად ასე გამოიყურება:**

| # | | პროვაიდერი | პროცენტი | Bar |
|---|---|---|---|---|
| 1 | | **online.ge** | 32.2 % | |
| 2 | | **utg.ge** | 28.15 % | |
| 3 | | **caucasus.net** | 20.09 % | |
| 4 | | **egrisi.ge** | 7.91 % | |
| 5 | | **sanet.ge** | 3.31 % | |
| 6 | | **magtigsm.ge** | 1.77 % | |
| 7 | | **wanex.net** | 1.46 % | |
| 8 | | **iberiapac.ge** | 0.84 % | |
| 9 | | **rtelecom.ge** | 0.77 % | |
| 10 | | **service.net.ge** | 0.7 % | |
| 11 | | **maximali.ge** | 0.63 % | |
| 12 | | **grena.ge** | 0.63 % | |
| 13 | | **cdn.ge** | 0.34 % | |
| 14 | | **namio.ge** | 0.32 % | |
| 15 | | **geocell.com.ge** | 0.3 % | |
| 16 | | **geonet.ge** | 0.2 % | |
| 17 | | **delta-comm.ge** | 0.15 % | |
| 18 | | **global-erty.net** | 0.14 % | |
| 19 | | **telecom.ge** | 0.06 % | |
| 20 | | **ultracom.ge** | 0.02 % | |
| 21 | | **lunet.ge** | 0.01 % | |
| 22 | | **proservice.ge** | 0 % | |

## ლაშა ჟვანიამ ახლად დამტკიცებულ ელჩებს ინვესტიციებისა და ტურისტების მოზიდვის საკითხებში ჩართვა დაავალა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ლაშა ჟვანიამ პარლამენტის მიერ ახლად დამტკიცებულ ელჩებს საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, საქართველოს, როგორც უსაფრთხო ქვეყნის, იმიჯის აღდგენისა და ტურისტების მოზიდვის საკითხებში ჩართვა დაავალა. "ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოტანა და ტურისტების საქართველოთი დაინტერესება ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა, რაშიც საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ სამსახურებს დიდი როლის შესრულება შეუძლიათ. სერიოზული სამუშაო გვაქვს ჩასატარებელი, რათა უცხოეთში საქართველოს, როგორც უსაფრთხო ქვეყნის იმიჯი კვლავ აღვადგინოთ. საქართველოს საელჩოებს ამ მხრივ დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ უცხოურ მედიასთან კონტაქტების საშუალებით. არანაკლებ მნიშვნელოვანია ქართული პროდუქციის საზღვარგარეთ ექსპორტის საკითხი - გთხოვთ, დროულად მოგვაწოდოთ ინფორმაცია იმ ქვეყნების ბაზრების მოთხოვნებისა და, შესაბამისად, ჩვენ მიერ ამა თუ იმ საქონლის ექსპორტის განხორციელების პერსპექტივაზე. ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ და საქართველოს საელჩოებმა მუდმივი კომუნაკაციის რეჟიმში უნდა ვიმუშაოთ. ჩვენი მხრიდან ამ მხრივ ყოველნაირი მხარდაჭერა გექნებათ, რათა თავადაც საშუალება გქონდეთ, პოტენციურ ინვესტორს თუ ტურისტს საქართველოს შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდოთ," - აღნიშნა მინისტრმა ელჩებთან შეხვედრაზე. ჟვანიას განცხადებით, ამ ამოცანების განხორციელების და ამა თუ იმ სფეროში უცხოელებთან კონტაქტების დამყარების პროცესში ხშირად ძალიან ეფექტურ როლს თამაშობს საერთაშორისო ფორუმები. მინისტრმა ელჩებს სთხოვა, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ასეთ ღონისძიებებში. შეგახსენებთ, 13 მარტს საქართველოს პარლამენტმა რვა ახალი ელჩი დაამტკიცა: გოჩა ჯაფარიძე - ეგვიპტე; რუსლან აბაშიძე - ესტონეთი; ზურაბ ერისთავი - იორდანია; სოსო ჩახვაშვილი - თურქმენეთი; პაატა გაფრინდაშვილი - ავსტრია; გიორგი ჯანჯღავა - ირანის ისლამური რესპუბლიკა; გიორგი კუბლაშვილი - უზბეკეთი; ეკა მიქაძე - ქუვეითი.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ათასწლეულის ფონდის აგრობიზნესის განვითარების პროექტის ფარგლებში 2000-მდე ფერმერი დამატებით სარგებელს მიიღებს

ათასწლეულის ფონდის აგრობიზნესის განვითარების პროექტის ფარგლებში მორიგი 15 საგრანტო პროექტი დამტკიცდა. ახალი 15 პროექტის მთლიანი ღირებულება დაახლოებით ერთ მილიონ დოლარს შეადგენს, მათი განხორციელების პროცესში სოფლად დამატებით მინიმუმ 160 სამუშაო ადგილი შეიქმნება, 2000-მდე ფერმერი კი დამატებით სარგებელს მიიღებს. ფონდმა გამარჯვებულ მეწარმეებთან საგრანტო ხელშეკრულებები გააფორმა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ლაშა ჟვანიამ აღნიშნა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში ძალიან დიდი პოტენციალი აქვს. მინისტრის განცხადებით, სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოს ბაზრის უზრუნველყოფას, ადამიანების დასაქმებას და ქვეყნის საექსპორტო შემოსავლების ზრდას ნიშნავს. "ეს პროექტი განსაკუთებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური კრიზისის პირობებში. ხშირად მეწარმეებს პრობლემები ინფორმაციის ნაკლებობის გამო ექმნებათ. შეგახსენებთ, რომ ჩვენ ძალიან მნიშვნელოვანი ხელშეკრულება გვაქვს ევროკავშირთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, კანადასთან, ნორვეგიასთან, შვეიცარიასა და იაპონიასთან, რომლის თანახმადაც საქართველოში წარმოებული 7200 სახის, მათ შორის სოფლის მეურნეობის პროდუქცია ამ ბაზრებზე შეგვიძლია ყოველგვარი გადასახადების გარეშე შევიტანოთ. ეკონომიკური განვითარების სამინისტროში კი ექსპორტის ხელშეწყობის და მეწარმეთა დახმარების მიზნით სპეციალურად შევქმენით დეპარტამენტი, სადაც ყოველგვარი საშვის გარეშე მოხვდებით და ნებისმიერ ინფორმაციას მიიღებთ თქვენი პროდუქციის უცხოეთში გატანასთან დაკავშირებით და ბიუროკრატიულ ბარიერებს აიცილებთ," - აღნიშნა ლაშა ჟვანიამ. ამასთან, მინისტრმა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ამერიკელ ხალხს მადლობა გადაუხადა საქართველოსთვის გაწეული თანადგომისთვის.

ათასწლეულის პროგრამის აგრობიზნესის განვითარების პროექტის ფარგლებში უკვე 146 პროექტია დამტკიცებული (ახალი 15 პროექტის ჩათვლით). მათი საერთო ღირებულება 6,9 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### პატიმრების ჯანმრთელობაზე ზრუნვას კურირებას კვლავ სასჯელაღსრულების სისტემა გაუწევს

პატიმრების ჯანმრთელობაზე ზრუნვას კური-რებას კვლავ სასჯელაღსრულების სისტემა გაუ-წევს. როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გია არსენიშვილი აცხადებს, პატიმართა ჯანდაცვის საკითხი 2-3 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს კურირების სფეროში გადავა და არსებული პრობლემების აღმოფხვრისა და სისტემის ფეხზე დაყენების შემდეგ ისევ ჯანდაცვის სამინისტროს დაუბრუნდება.

"შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბოლო დროს საკმაოდ ბევრი ფუნქცია დაეკისრა და უკეთესია, რომ პატიმრების ჯანდაცვის მომსახურებაზე ისევ სასჯელაღსრულების სისტემამ იზრუნოს. გარდა ამისა, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრს ბევრი რევოლუციური მოსაზრება გააჩნია," - განაცხადა არსენიშვილმა, თუმცა მათი დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა.

**პირველი**

### სს "ენერგო-პრო ჯორჯიას" სარჩელი არ დაკმაყოფილდა

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სს ენერგო-პრო ჯორჯიას" სარჩელი სემეკ-ის წინააღმდეგ არ დაკმაყოფილდა.

სემეკ-ის ინფორმაციით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, სს ენერგო-პრო ჯორჯიას" მიერ შპს ალიანსი 6"-ზე ზედმეტად დარიცხული თანხა 14881 ლარის ოდენობით დაუსაბუთებლად არის ცნობილი.

ენერგო-პრო ჯორჯიას" მიმდინარე წლის 4 მარტის სარჩელი სემეკ-ის 2008 წლის 18 დეკემბრის N16/2 გადაწყვეტილების ბათილად გამოცხადებას შეეხებოდა.

სს "ენერჯი ინვესტის" კი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 5 ათასი ლარს გადაიხდა დაეკისრა.

სემეკიდან ცნობით, კომპანიამ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან (სემეკი) ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო ინსტანციებში პროცესები წააგო. საქალაქო სასამართლოს მსგავსად, 2009 წლის 9 მარტს სს "ენერჯი ინვესტის" სარჩელი სემეკის წინააღმდეგ არც ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა.

2008 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებით, სს ენერჯი ინვესტმა" სემეკ-ში ტარიფის დასადგენად კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაცია არ წარადგინა, რისთვისაც კომისიამ კომპანია 5 ათასი ლარით დააჯარიმა.

**პირველი**

### ფულის არალეგალური დინება პოლიტიკაში და კორუფციის არსებობის საშიშროება

Global Integrity საერთაშორისო მოგებაზე არაორიენტირებული ორგანიზაციაა, რომელიც აწარმობს კვლევას კორუფციის მიმართულებით. საგამოძიებო სამუშაოები ორმოცდაჩვიდმეტ ქვეყანაში ტარდება.

2008 წლის Global Integrity-ის ანგარიშში მოცემულია, როგორც განვითარებული ქვეყნების: კანადა, იაპონია, იტალია, ასევე მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნების: არგენტინა, ჩინეთი, ერაყისა და პალესტინის მონაცემები. ანგრიშში კორუფციის ფაქტებთან ერთად, მოცემულია თავდაცვის მექანიზმები და გამჭირვალობის ხარისხი, გამჭირვალობის ინდიკატორები და ქვეყნების სუსტი მხარეები. ამასთან, მითითებულია სფეროები, სადაც კორუფციის აღმოცენების ყველაზე დიდი შანსია.

Global Integrity-ის 2008 წლის ანგარიშში (Grand Corruption Watch List), მოცემულია: ანგოლას, ბელორუსიის, კამბოდიას, ჩინეთის, ერაყის, მონტენეგროს, ნიკარაგუას, სერბიის, სომალეთის, პალესტინის და იემანის მონაცემები. თითოეული მათგანი კორუფციის საფრთხის წინაშე დგას," - აცხადებს Global Integrity - ის დირექტორი ნასენიალ ჰელერი.

"2008 წლის Global Integrity ანგარიში საქართველოს შესახებ, მოცემულია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი, კონფლიქტურ რეგიონში - სამხერთ ოსეთში არსებული მდგომარეობა... აღმასრულებელები ძალიან იშვიათად ხსნიან და განმარტავენ საკუთარ გადაწყვეტილებას, ქვეყანაში იზღუდება თავუსუფალი მედია, საქართველოში მწვავედ დგას ადმინისტარციული და სამოქალაქო მომსახურების პრობლემებიც, - აღნიშნულია დასკვნაში.

Global Integrity- ის ოფიციალური მხარდამჭერები არიან ავსტრალიის საერთაშორისო განვითარების სააგენტო; კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტო; *Legatum Institute* და მსოფლიო ბანკი.

**საკუთარი ინფორმაცია**

# პარლამენტი ოპოზიციურ საკანონმდებლო ინიციატივას განიხილავს

თამარ ხორბალაძე

*საპარლამენტო ოპოზიციის, კერძოდ, პარლამენტარ გია ცაგარეიშვილის მიერ ინიცირებული სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებები საქართველოს პარლამენტში უკვე შესულია. საკომიტეტო მოსმენები დაგეგმილია 17-20 მარტისთვის, პლენარულ სხდომაზე განხილვა - 24-27 მარტისათვის. კანონპროექტი ძალიან ბევრ საკითხს მოიცავს, მათ შორის ისეთებსაც, რომელიც საზოგადოებრივი განსჯის საგანი არაერთხელ გამხდარა და რომელთა შესახებ გადაწყვეტილების მიღება, სავარაუდოდ, ადვილი არ იქნება. ამის მიუხედავად, გია ცაგარეიშვილი იმედოვნებს, რომ რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით უმრავლესობის მხარდაჭერის მოპოვებას მაინც შეძლებს.*

### ცვლილებები არასრულწლოვანთა დანაშაულებთან დაკავშირებით

ცვლილებების პაკეტი გულისხმობს მთელ რიგ სიახლეებს არასრულწლოვანთა დანაშაულებთან დაკავშირებით. განმარტებითი ბარათის მიხედვით, პროექტში გაზიარებულია ამერიკის შეერთებული შტატების და ევროპის ქვეყნების პრაქტიკა, ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა უფლებების კომიტეტის რეკომენდაცია და დაბეჯითებითი მოწოდება, დაუყოვნებლივ აღდგეს პასუხისმგებლობის ზღვარი - 14 წელი. კომიტეტი საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, არ დაწიონ პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 14-დან 12 წლამდე.

ვინაიდან, სახელმწიფო საკანონმდებლო პოზიცია ახალი საპროცესო კოდექსის რედაქციაში გირაოს თანხასთან დაკავშირებით ლიბერალურია და შემცირებულია 2000 ლარიდან 1000 ლარამდე, რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე და ადეკვატური მიდგომების გათვალისწინებით, პროექტში ჯარიმის მინიმალური ოდენობაც 3 წელზე ზევით დანაშაულებზე შემცირებულია 2000-დან 1000 ლარამდე.

აქვე უარყოფილია ის პრინციპი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ დაემატა კოდექსს და განისაზღვრა, რომ თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანია და გადახდისუუნარო, სასამართლო მისთვის ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს. ვინაიდან აღნიშნული არ შეესაბამებოდა მსოფლიოში არსებულ თანამედროვე სტანდარტებს და არ გამომდინარეობდა სამართლიანობის პრინციპიდან და მსოფლიო წამყვანი ქვეყნების პრაქტიკიდან, პროექტის მიხედვით დადგინდა, რომ თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანია, ჯარიმა შეიძლება დაენიშნოს, თუ მუშაობს ან გააჩნია საკუთარი ქონება.

სასამართლოს ნდობისა და დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლების მიზნით კანონპროექტში უფრო მეტი საკანონმდებლო ნდობა და, შესაბამისად, პასუხისმგებლობაა დაკისრებული სასამართლოებსა და მოსამართლეზე და კანონპროექტის მიხედვით, შესაბამისი ცვლილებებია განხორციელებული პირობითი სასჯელების დადგენის კუთხით არასრულწლოვანი და სრულწლოვანი დამნაშავეების განაჩენების დადგენისას სასჯელის ნაწილში. პროექტის მიხედვით, კონკრეტული საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლება, პირობითი სასჯელები გამოიყენოს არა მარტო ნაკლებად მძიმე, არამედ მძიმე კატეგორიის დანაშაულებებზე და არასრულწლოვანთა მიმართ ყველა კატეგორიის საქმეებზე.

გათვალისწინებულია ასევე, არასრულწლოვანისადმი განსაკუთრებული მიდგომები. დღევანდელი კოდექსისგან განსხვავებით, არა მარტო უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის და სასჯელების საკითხებში, არამედ დაჯარიმების საკითხებშიც არასრულწლოვანი გამიჯნულია სრულწლოვანი დამნაშავესგან და, შესაბამისად, საჯარიმო თანხები განახევრებულია.

### ნაბიჯები კანონის ლიბერალიზაციისკენ

კანონპროექტში ლიბერალური მიდგომებია სასჯელის დანიშვნის დროს დაუმთავრებელი დანაშაულისათვის, როდესაც დანაშაული მომზადების ან მცდელობის სტადიაზე აღიკვეთა ანუ გარკვეულ მიზეზთა გამო ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი და ჩადენილი დანაშაულის შედეგად მოქალაქეს ან სამართლებრივ სიკეთეს ზიანი არ მიადგა, თუმცა, ითვალისწინებს დამთავრებული დანაშაულის სასჯელს. ახლებურადაა დანახული დანაშაულის მცდელობისა და მომზადებისათვის სასჯელის ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს დამთავრებული დანაშაულისათვის ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სასჯელის მაქსიმალური ვადის ან ზომის ნახევარს.

პროექტში ახლებურადაა დანახული დღევანდელი კოდექსის ერთ-ერთი მწვავე პრობლემა და ხარვეზი ანუ სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს და სასჯელთა მთლიანად შეკრების პრინციპი. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მიდგომა უნდა შეიცვალოს სასჯელების მთლიანად ან ნაწილობრივი შეკრების პრინციპით.

პროექტში გადახედილია მიდგომები პირობით ვადამდე სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების მუხლებთან დაკავშირებით, მათ შორის, არასრულწლოვანთა მიმართ. ამ კუთხით მეტად ლიბერალური პრინციპებია გატარებული და ესოდენ მაღალი სასჯელების მოხდა არ არის გათვალისწინებული, იმაში დასარწმუნებლად, რომ პირი აღარ არის საშიში და საზოგადოებისგან იზოლაცია აღარ წარმოადგენს აუცილებლობას. მით უმეტეს, როდესაც პიროვნება თავისი ქცევებითა და დანაშაულის მონანიებით მზად არის საზოგადოებაში დასაბრუნებლად. ცვლილებები სასამართლოებს ანიჭებს უფლებას, აღნიშნული დასკვნები უფრო ადრე გამოიტანოს, ვიდრე დღევანდელი მუხლებით არის გათვალისწინებული.

### მიდგომები ნარკოდანაშაულისადმი

წარმოდგენილ კანონპროექტში გამიჯნულია ნარკოტიკების მომხმარებელი, რეალიზატორი და მწარმოებელი, გამიჯნულია შესაბამისი მუხლები და გაზიარებულია პრინციპები, რომ ნარკოტიკების მომხმარებელი ავადმყოფია, ხოლო ნარკომანია - სირცხვილი. აქედან გამომდინარე, კოდექსიდან ამოღებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ნარკოტიკის განმეორებითი მოხმარებისთვის.

### ადამიანის უფლებების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებები

კანონპროექტში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ადამიანის უფლებების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს და ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ადამიანის უფლებები არის უმაღლესი ფასეულობა სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემისათვის და ამ უფლებების დაცვა არა მარტო დეკლარირებულადაა სახელმწიფოს პრიორიტეტული მიმართულება. ცვლილებებში ასახულია ქვეყნის განვითარების პრიორიტეტები, განსაკუთრებით - სიტყვის თავისუფლების დასაცავად. საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, გამკაცრებულია სასჯელები სიტყვის თავისუფლებისა და ჟურნალისტის პროფესიული მოვალეობის შესრულებისას ხელის შეშლის წინააღმდეგ მუხლებში.

ასევე, გამკაცრებულია და ჩადენილი დანაშაულისათვის ადეკვატური სასჯელებია დაწესებული ადამიანის დევნისათვის სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით. გამკაცრებულია სანქციები შრომის უფლებების დარღვევისათვის ანუ ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლების - შრომის უფლების დარღვევის წინააღმდეგ.

### საარჩევნო დანაშაულები

კანონპროექტში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საარჩევნო დანაშაულებს, კერძოდ: საარჩევნო პროცესში, არჩევნებში, რეფერენდუმსა ან პლებისციტში ნების განხორციელებაში ხელის შეშლის; არჩევნების გაყალბების; ამომრჩევლის მოსყიდვის; ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის, ხმების არასწორად დათვლის ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამების; ყალბი დოკუმენტის საფუძველზე არჩევნებში, რეფერენდუმსა ან პლებისციტში მონაწილეობის მიღების მუხლებში შესატან ცვლილებებს. გათვალისწინებულია ანალიზი არჩევნებთან დაკავშირებით მომხდარ დანაშაულებებთან დაკავშირებით და საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ამ მუხლების ეფექტურობას წარმოაჩენს. ავტორების აზრით, მუხლების სანქცია, რომელიც ითვალისწინებს 1 ან 2 წლით თავისუფლების აღკვეთას, ვერ უზრუნველყოფს დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას და დანაშაულის პრევენციას, ასევე მხედველობაში მიღებულია ის გარემოებაც, რომ მუხლებით, რომლებიც ითვალისწინებენ 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, პირის ან პირების პასუხისმგებლობაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 2 წელს. ანუ საარჩევნო პროცესის დამთავრებიდან 2 წლის შემდეგ შეუძლებელია პირის პასუხისგებაში მიცემა. ყოველივე ამის გათვალისწინებით კანონოპრექტის ავტორთა ინფორმაციით, დაწესებულია რეალური და დანაშაულის პრევენციისათვის ადეკვატური სასჯელები.

პროექტში ასევე ცვლილებებია გათვალისწინებული სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების მუხლში ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. მოგეხსენებათ, რამოდენიმე წლის წინათ სამოხელეო დანაშაულებების მუხლების ხანდაზმულობის ვადამ შეადგინა თხუთმეტი წელი. დანაშაულებებზე, რომლებიც 23-ე თავში გათვალისწინებული და მიმართულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ანუ 162-ე 164.3-ე მუხლები, კერძოდ: არჩევნების გაყალბება, ამომრჩევლის მოსყიდვა, ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა და შედეგების არასწორად შეჯამება, ასევე ყალბი დოკუმენტების საშუალებით არჩევნებში მონაწილეობის მიღება, ეს მუხლები გათანაბრებულია სამოხელეო დანაშაულის იმ მუხლებთან, რომელთა ხანდაზმულობის ვადა ამჟამად შეადგენს 15 წელს და, შესაბამისად, მუხლში განხორციელებულია ცვლილებები. დასახელებული მუხლების დიდი ნაწილი სასჯელის სახით ითვალისწინებს 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთას და, შესაბამისად, არჩევნების დამთავრებიდან 2 წლის გასვლის შემდეგ დამნაშავე პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა შეუძლებელი ხდება, რაც კიდევ უფრო ამყარებს დაუსჯელობის სინდრომს და ქვეყნის სამართლებრივი და დემოკრატიული განვითარების პერსპექტივებს ამცირებს.

### რეალისტური მოლოდინები

კანონოპროექტის ძირითადი პრინციპების გადახედვაც ცხადყოფს, რომ მისი უპირობოდ დამტკიცება საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მოსალოდნელი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობა ჯერჯერობით ამ პროექტის "გაცნობის" პროცესშია და, შესაბამისად, პოზიციას ჯერჯერობით არ აფიქსირებს, თავად კანონოპროექტის ავტორს გია ცაგარეიშვილსაც არ აქვს გადაჭარბებული მოლოდინი. მისი თქმით, ეს არის ტესტი ხელისუფლებისთვის, რომელიც დემოკრატიზაციის ახალი ტალღების შესახებ საუბრობს - "ხელისუფლებამ რამდენიმე ნაბიჯი მაინც უნდა გადადგას იმისთვის, რომ ასეთი მზადყოფნა დაადასტუროს," - აცხადებს ცაგარეიშვილი. იგი იმედოვნებს, რომ შედარებით მარტივად წარიმართება დისკუსია არასრულწლოვანთა ასაკის 12-დან 14 წლამდე გაზრდასთან დაკავშირებით, რასაც საერთაშორისო ორგანიზაციებიც აქტიურად მოითხოვენ. ასევე მოლაპარაკებადია საარჩევნო დანაშაულებზე ხანდაზმულობის ვადის გაზრდის თემა. განსაკუთრებული წინააღმდეგობები არ უნდა შეხვდეს ნარკომანიის საკითხსაც, მით უმეტეს მაშინ, რომ ამ დღეებში ბაზალეთში სწორედ ნარკომანიის თემაზე იმართება დიდი კონფერენცია, რომლის ძირითადი არსი სწორედ ნარკომომხმარებლებისადმი ლიბერალური მიდგომაა. თუმცა, ცხადია, რომ კანონპროექტის ბედი, რეალურად, სწორედ საკომიტეტო მოსმენებზე - 17-20 მარტისთვის გაირკვევა. მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტის მიერ მიღებული შესაძლო უარყოფითი დასკვნები კანონოპროექტის პლენარულ სხდომაზე გატანას, რეგლამენტით, ვერ აფერხებს, ცხადია, კომიტეტის პოზიცია პარლამენტის უმრავლოების გადაწყვეტილებისთვის განმსაზღვრელი იქნება. უმრავლესობის გარეშე კი უმცირესობა, რომლის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ვიცე-სპიკერმა ლევან ვეფხვაძემ ასევე დაგვიდასტურა, რომ იცნობს კანონპროექტს და ძირითად პრინციპებს იზიარებს, ცხადია, მის დამტკიცებას ვერ შესძლებს.

# დივერსიფიკაცია



AFP' 2009

*რუსეთის მიმართ დასავლეთის პოლიტიკის შეცვლის ალბათობა დიდია*

პირველი გვერდიდან

ასეთ ატმოსფეროში ალბათ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ ახალ საბაზო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებში სერიოზული წინსვლა იქნება. მესამე - რუსეთის გარშემო პოსტსაბჭოთა სივრცის კონსოლიდაციის მცდელობა.

ბელარუსს და ყირგიზეთს გამოეყოთ სერიოზული სახსრები, შეიქმნა სტაბილიზაციის ფონდი კოლექტიური ხელშეკრულების ორგანიზაციის ქვეყნებისათვის. უკრაინას თითქმის შეპირდნენ მრავალმილიარდიან კრედიტს - და ეს ყველაფერი გაკეთდა მხოლოდ გარკვეული ილუზიის შესაქმნელად, რომ ჩამოყალიბდა რაღაც საპირწონე დასავლეთისათვის.

ალბათ დღეს რუსეთისთვის ასეთი პოლიტიკა ლოგიკურია და მისი შეცვლის მოთხოვნა ჯერ არ არსებობს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბოლო წლებში რუსეთის მმართველი ელიტა დასავლეთის მიმართ მკაცრი კურსის გარშემო შეიკრა, არ მიდის დათმობებზე და მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს (ხელისუფლების კონტროლის ქვეშ მქონე მედიის საშუალებით) საკუთარი აზრი თავს მოახვია. არა მხოლოდ იმიტომ, რომ "მისტერ ნეტ"-ის ტრადიციებზე აღზრდილმა პროფესიულმა რუსულმა დიპლომატიამ იცის დასავლეთის სისუსტეების, პირველ რიგში იქ ერთიანი პოზიციის არარსებობის, გამოყენება. თავის დროზე კარგად ასწავლიდნენ მარქსისტულ მეცნიერებას - "იმპერიალისტური წინააღმდეგობების" საკუთარ სამსახურში ჩაყენების საჭიროებაზე. ეს ყველაფერი უმთავრესად იმით უნდა აიხსნას, რომ რუსეთის პოლიტიკას ჯერ ადრესატის მხრიდან საპასუხო რეაქცია არ გამოუწვევია.

ამერიკელებისთვის, როგორც ცნობილია, რუსეთი უკვე დიდი ხანია არ არის პრიორიტეტი და ვაშინგტონს მოსკოვთან ძალიან შეზღუდულ საკითხებში აქვს ურთიერთობა, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი თვალსაზრისით. შეერთებულ შტატებს შეუძლია თავს იმის უფლება მისცეს, რომ ჰქონდეს რიტორიკული პოლიტიკა რუსეთის მიმართ, ჟესტების ენა სისტემური მიდგომის მაგივრად.

ევროპული მიდგომა (ეს ეხება არა ყველა ქვეყანას, არამედ მთლიანად კავშირს), რომელიც ღია კონფლიქტს თავს არიდებს და ოთხი-ხუთი წელია შეიმჩნევა, რაციონალური არჩევანის შედეგია და ორ ფაქტორზეა დამყარებული. ერთი მხრივ, სხვა რეგიონებთან, მაგალითად ბალკანეთთან ან სამხრეთ ხმელთაშუაზღვისპირეთთან შედარებით, სიტუაცია ევროკავშირის აღმოსავლეთ საზღვრებთან მათ მეტი გულთბილობისკენ განაწყობდა. რუსეთის მიდგომა მეზობლების მიმართ კი გამოირჩეოდა აგრესიულობით, მაგრამ უკრაინაში ბოლო საპრეზიდენტო არჩევნების "საქმეში ჩარევის" შემდეგ, 2008 წლის აგვისტომდე მთლიანობაში არ გამოსულა ევროპისათვის მისაღები საზღვრებიდან. ბევრი ევროპელის აზრით, საკმარისი იყო რუსეთი პრაქტიკულად დაერწმუნებინათ იმაში, რომ საკუთარ პრაგმატულ ინტერესებს ყბადაღებულ დემოკრატიულ ფასეულობებზე მაღლა აყენებენ, და ყველაფერი ნორმალურად იქნებოდა.

მეორე მხრივ, ევროპულ ბიზნესს უბრალოდ თავბრუ დაეხვა ახალი რუსული ფულით და იმ პერსპექტივით, რასაც ამ ქვეყნის ბაზარი პირდებოდათ. რუსეთში საქონლისა და მომსახურების ექსპორტის სურვილი იმდენად ძლიერი იყო, რომ მას ვერ აჩერებდა ვერც კორუფცია, ვერც "სამართლებრივი ნიჰილიზმი". ბუნებრივია, ბიზნესს არ სურდა პოლიტიკური წინააღმდეგობების ჩამოყალიბება და საკუთარ მთავრობებს შესაბამის "განწყობას" უქმნიდა. ამ ფონზე სულაც არ იყო დასაძრახი, რომ გავლენიანი გადამდგარი ევროპელი პოლიტიკოსები კარგად ანაზღაურებულ რუსულ სინეკურას იღებდნენ.

მაგრამ ეკონომიკური კრიზისის გაღრმავებასთან ერთად ძველი პარადიგმა დაშლას იწყებს. ეკონომიკის ზოგადი დაცემა, რუბლის დევალვაცია, სირთულეები კრედიტებთან დაკავშირებით, რაზეც როგორც გაირკვა, რუსული იმპორტი ისევე იყო დამოკიდებული, როგორც ნავთობის ფასებზე, ბოლოს და ბოლოს პროტექციონიზმი მკვეთრად ამცირებს ევროპული ბიზნესის ინტერესს რუსეთის მიმართ. შესაბამისად კლებულობს რაღაცეებზე თვალის დახუჭვის სურვილიც. კრიზისის პირობებში სიტყვა "ენერგეტიკა" უკვე აღარ არის მაგიური. ენერგომატარებლებზე მოთხოვნილების დაცემასთან ერთად რუსეთის მიწოდებებზე დამოკიდებულება იცვლება სულ ცოტა ურთიერთდამოკიდებულებით. ევროკომისიის მიერ ნოემბერში მომზადებულ დოკუმენტში - "ევროკავშირ-რუსეთის ურთიერთობის მიმოხილვა" - პირდაპირ წერია, რომ "ეკონომიკურად რუსეთს სჭირდება ევროკავშირი. ევროკავშირი მნიშვნელოვანი ბაზარია მისი ნედლეულის ექსპორტის, განსაკუთრებით ენერგიისათვის". აქედან გამოდის დასაბუთებული დასკვნა, რომ ევროკავშირი რუსეთთან ურთიერთობებს საკმაოდ თამამად შეუძლია მიუდგეს.

გადაიტანა რა პრობლემები გაზის მიწოდებაში, ევროპა სულ უფრო სერიოზულად ფიქრობს თავისი ენერგომომარაგების დივერსიფიკაციაზე, როგორც არ უნდა იყოს ამის მიმართ განწყობილი რუსეთი. დამთავრებულია ლაპარაკი რუსეთზე, როგორც უალტერნატივო და სანდო მომწოდებელზე. ალტერნატივა შეიძლება ვერ იპოვონ, მაგრამ მას სერიოზულად ეძებენ და ეს ძვირი ღირს.

ამ პირობებში რუსეთის მიმართ დასავლეთის პოლიტიკის შეცვლის ალბათობა დიდია. "პრაგმატული ინტერესები" მცირდება, და ამიტომ თავისუფლად შეიძლება გამოვიდეს პირველ პლანზე დაგროვილი წინააღმდეგობები - ენერგეტიკიდან დაწყებული საერთო სამეზობლო რეგიონით დამთავრებული. ხოლო რუსული სახელმწიფოს პოტენციური დაბრუნება საერთაშორისო საკრედიტო ბაზარზე ან უბრალოდ რუსეთის კორპორაციული ვალების უბრალო სიაც კი დასავლეთს შეახსენებს მის ხელთ არსებულ ინსტრუმენტებს.

ცხადია შეიძლება იმ იმედის ქონაც, რომ რუსეთი ორმხრივი კავშირები ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანასთან არ დაუშვებს ევროკავშირის შიდა კონსოლიდაციას. მაგრამ, ერთის მხრივ, ასეთი იმედები ევროკავშირის გაფართოებამდეც კი ყოველთვის არ მართლდებოდა. საკმარისია გავიხსენოთ ბრიუსელის, ფაქტობრივად ულტიმატუმის სახით დაყენებული მოთხოვნა 2004 წელს, რომ ხელშეკრულება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ უნდა გავრცელებულიყო კავშირის ახლ წევრებზეც, ან ევროკავშირის პოზიცია ჩეჩნეთის ომებთან დაკავშირებით. მეორეს მხრივ, იმ სახელმწიფოების უმრავლესობა, ვისაც გაზის კრიზისი შეეხო, აქამდე რუსეთის მიმართ საკმაოდ ლოიალურად იყო განწყობილი, დღეს კი სასამართლოებით იმუქრება. ცხადი ხდება, რომ უკვე ფაქტობრივად აღარ დარჩნენ ევროკავშირის ისეთი წევრები, რომლებსაც ამჟამინდელი მდგომარეობა აკმაყოფილებთ. სახეზეა ნდობის კრიზისი, რომელიც თანდთან ღრმავდება. ხოლო უმრავლესობის თვალსაზრისი დღევანდელ ევროპაში ხანდახან მეტი ღირს, ვიდრე წამყვანი სახელმწიფოების პოზიცია. რა თქმა უნდა, ვერავინ აუკრძალავს რუსეთს დახარჯოს თავისი რესურსები (რომლებიც უკვე იწურება) სხვადასხვა კონკურენტ გაზსადენებზე და დასავლეთთან გეოპოლიტიკურ შეჯიბრზე უკრაინაში, ბელარუსში, მოლდოვასა და საქართველოში. მაგრამ ამ შეჯიბრში გამარჯვება ძალიან ძნელი იქნება იმ ეკონომიკით, რომელიც ნავთობის ბუმის დროსაც კი მხოლოდ ევროპულს 15 ჯერ ჩამორჩებოდა.

CMYK - 8

# სტაბილურობისთვის...
# სიმშვიდისთვის...
# გარანტირებული
# სარგებლისთვის...

მიენდეთ საბანკო ჯგუფს, რომელსაც მსოფლიოში მილიონობით მეანაბრე ენდობა!

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი

CMYK - 8

# "მეგობარი" ანაბარი

# გახსენი!



თანხის შეტანა - გატანა ნებისმიერ დროს

გამოტანა ნებისმიერი ბანკომატიდან

10% - მდე სარგებელი

(822) 92 55 55
www.republic.ge



# აფიშა

16 მარტი

**კინო**

"რუსთაველი"
"მადაგასკარი 2"
დასაწყისი: 13.00; 15.00; 17.00; 19.00; 20.00
"ცვლილება"
დასაწყისი: 13.00; 16.00
"ოპერაცია ვალკირია"
დასაწყისი: 19.15; 21.15
"როკენროლა"
დასაწყისი: 12.30; 14.45; 17.00;
"რაც ყველაზე ძალიან გიყვარს"
დასაწყისი: 12.15; 15.00; 17.15; 19.30; 22.00
"ვარდისფერი პანტერა 2"
დასაწყისი: 13.15; 15.00; 16.45; 18.30; 20.15; 22.15

"ამირანი"
"მილიონერი გარეუბნიდან"
დასაწყისი: 13.00; 17.45; 22.15
"მადაგასკარი 2"
დასაწყისი : 13.00 ; 15.00 ; 17.00
"ვიკი, კრისტინა, ბარსელონა"
დასაწყისი : 19.00 ; 21.00

**გამოფენა**

"ვერნისაჟი"
ე.ვირსალაძის სახელობის ხელოვნების სასწავლებლის
მოსწავლეთა გამოფენა

"ჰობი"
ჯემალ კუხალაშვილის პერსონალური გამოფენა

"ქარვასლა"
XX საუკუნის არქიტექტურული მემკვიდრეობა საფრანგეთში

"შარდენი"
ტიხრული მინანქრის გამოფენა

გოეთეს ინსტიტუტი
ბეჭდვითი კომუნიკაციების დიზაინი
შექმნილი გერმანიაში



თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში პრემიერაა - 29 მარტს, 1 და 3 აპრილს საკონცერტო შესრულებით წარმოდგენილი იქნება ჯუზეპე ვერდის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ოპერა ტრავიატა". ტრავიატა" ოპერის თეატრის რეპერტუარში ვერდის მეშვიდე ოპერაა ( აიდა", ტრუბადაური", დონ კარლოსი", რიგოლეტო", ატილა", ნაბუქო", ასევე რეკვიემი). "ტრავიატა" თეატრში ბოლოს 1979 წელს დაიდგა.

საპრემიერო სპექტაკლებში მონაწილეობენ თეატრის ახალი სახეებიც და ცნობილი მომღერლებიც: მარიამ გულორდავა, მარიკა მაჩიტიძე, ნინო ჩაჩუა, ირინე ალექსიძე, ელენა პუტილოვა, მზია დავითაშვილი, მანანა იორდანიშვილი, არმაზ დარაშვილი, ირაკლი კახიძე, გია მახარაძე, სულხან გველესიანი, ნიკოლოზ ლაგვილავა, ზაალ ხელაია, ზურაბ იაშვილი, თამაზ საგინაძე, ბონდო გოგია, გივი ფეიქრიშვილი, გია ასათიანი, ტარიელ ჭიჭინაძე.

ტრავიატას" დამდგმელი დირიჟორია ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი.

# თურქეთი: XX საუკუნის 20-იანი წლებიდან

## ორჰან ფამუქის "ჯევდეთ ბეი და მისი ვაჟიშვილები" ქართულად ითარგმნა

ია ვეკუა

1982 წელს თურქეთის წიგნის მაღაზიებში იმ დროს ჯერ კიდევ სრულიად უცნობი ავტორის წიგნი "ჯევდეთ ბეი და მისი ვაჟიშვილები" გამოჩნდა. მაშინ მკითხველს ალბათ დრო დასჭირდა იმისთვის, რომ ახალბედა მწერლის ლიტერატურა მიეღო და ეღიარებინა, თანამედროვე ქართველ მკითხველს კი ეს პრობლემა არ ექნება - იგი უკვე აღიარებულ მწერალს შეხვდება, მწერალი კი ნობელიანტი ორჰან ფამუქია, რომლის პირველ რომანსაც ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" გვთავაზობს. წიგნი მაღაზიებში ათიოდე დღეში გამოჩნდება.

ალბათ არ არსებობს მკითხველი, რომლისთვისაც ორჰან ფამუქის სახელი გაკვრით მაინც არაა ნაცნობი. ფამუკის პოპულარობის მთავარი "მიზეზი" ცხადია მის მიერ 2006 წელს მიღებული ნობელის პრემიაა, "ჯევდეთ ბეი და მისი ვაჟიშვილებისთვის" კი ფამუქმა მხოლოდ თურქეთის ლიტერატურული ჯილდოები დაიმსახურა - გამოჩენილი თურქი პროზაიკოსის, ორჰან ქემალის სახელობისა და გაზეთ "მილიეთის" პრემიები.

რომანი ერთი ოჯახის სამი თაობის წარმომადგენელთა ცხოვრებას აღწერს და მეოცე საუკუნის 20-იანიდან 70 წლებამდე პერიოდს მოიცავს. ამბავი სტამბოლში მცხოვრები ჯევდეთ ბეისა და მისი ვაჟების ირგვლივ ვითარდება, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ თურქეთის დასავლეთთან მისაახლოვებლად. სწორედ მათი ყოველდღიური ცხოვრების ფონზე აისახება თურქული საზოგადოების განვითარებისა და თურქეთის რესპუბლიკის ჩამოყალიბების რთული გზა. მიმდინარეობს თურქეთის სოციალური და ეკონომიკური განვითარება, რასაც ცხადია დიდი ცვლილებებიც ახლავს თან. არსებობს ვარაუდი, რომ რომანი გარკვეულწილად ავტობიოგრაფიულიც შეიძლება იყოს, რადგან ჯევდეთ ბეის დიდი ოჯახი სწორედ იმ რაიონში ცხოვრობს, სადაც თავად ფამუქი დაიბადა.

როგორც ცნობილია, ორჰან ფამუქი ახალგაზრდობაში ძალიან იყო დაინტერესებული ევროპული ლიტერატურით. კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ პირველი რომანი მან სწორედ ევროპული მწერლობის გავლენით შექმნა, ხოლო "ჯევდეთ ბეისა და მის ვაჟიშვილებს" ყველაზე ხშირად თომას მანის "ბუდენბროკებს" ადარებენ. ავტორი მკითხველს რომანის პირველივე გვერდებიდან თურქეთის ისტორიაში სამოგზაუროდ ეპატიჟება, რასაც სახასიათო პერსონაჟებისა და კრიალოსანივით აწყობილი სიუჟეტის წყალობით აკეთებს.

ქართულად რომანი ნანა ჯანაშიამ თარგმნა: "ჯევდეთ ბეი და მისი ვაჟიშვილები" ორჰან ფამუქის ჩემს მიერ თარგმნილი პირველი ნაწარმოებია. ეს მისი პირველი რომანია და ვინაიდან ჯერ კიდევ გაუწაფავი ავტორის ტექსტს წარმოადგენს, სათარგმნელად არც ისე ძნელი იყო. მე ვიცნობ ფამუქის სხვა ნაწარმოებებს, რომელთა თარგმნა გაცილებით რთული სამუშაო იქნება, რადგან როდესაც ორჰან ფამუქის ტექსტებს კითხულობ, ხვდები, რომ ის ძალიან განათლებული და ნაკითხი პიროვნებაა, რაც თურქულ მწერლობაში დიდ იშვიათობას წარმოადგენს. რაც შეეხება კონკრეტულად ამ ნაწარმოებს, სიმართლე გითხრათ, მაფიქრებს ის საკითხი, რამდენად მიიღებს მას ფართო მკითხველი. საქმე ისაა, რომ ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი, თურქეთს ძალიან ზედაპირულად იცნობს, უმეტესობას ის მხოლოდ სავაჭრო ქვეყანა ჰგონია და ნაკლებად აინტერესებს მისი ისტორია თუ სოციალურ-პოლიტიკური განვითარება. "ჯევდეთ ბეი და მისი ვაჟიშვილები" თურქეთს სრულიად განსხვავებული მხრიდან დაგვანახებს და ქართველი მკითხველიც სწორედ ამ ფაქტორმა უნდა დააინტერესოს".

ორჰან ფამუქი 1952 წელს სტამბოლში საკმაოდ მდიდარ ოჯახში დაიბადა. მშობლების სურვილის მიუხედავად უარი თქვა ტექნიკურ განათლებაზე და თავი ლიტერატურას მიუძღვნა. 80-იანი წლების ბოლოს ამერიკაში ცხოვრობდა და ნიუ იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტში მუშაობდა, შემდეგ კი თურქეთში დაბრუნდა. ამ დროისთვის მას უკვე ჰქონდა დაწერილი ზემოთ ხსენებული რომანი, ასევე "სიჩუმის სახლი" და "თეთრი კოშკი" და "შავ წიგნზე" მუშაობდა. 2006 წელს ორჰან ფამუქის ცხოვრებასა და შემოქმედებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა - იგი პირველი თურქი მწერალი გახდა, რომელმაც ლიტერატურაში ნობელის პრემია მიიღო შემდეგი ფორმულირებით: "ავტორს, რომელმაც მშობლიური ქალაქის მელანქოლიური სულის ძიებაში სხვადასხვა კულტურების გადაკვეთის ახალი სიმბოლოები აღმოაჩინა".




ლიტერატურული საქმიანობის გარდა ორჰან ფამუქი თავისი პოლიტიკური შეხედულებებითაცაა ცნობილი, რისთვისაც იგი ზოგისთვის გმირად იქცა, ზოგისთვის - სამშობლოს მოღალატედ. 2005 წელს კი თურქეთის სასამართლომ მის წინააღმდეგ საქმე აღძრა, რომლის მიზეზადაც ფამუქის მიერ ინტერვიუში ნათქვამი შემდეგი ფრაზა იქცა: "თურქეთში მილიონი სომეხი და 300 ათასი ქურთი მოკლეს. ამის შესახებ არავინ ლაპარაკობს, მე კი ვერ მიტანენ იმის გამო, რომ ამაზე საუბარს არ ვერიდები". სწორედ ამ ინტერვიუს შემდეგ მის წინააღმდეგ აგორებული განწყობის გამო, მწერალი იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა. მალე კი ცნობილი გახდა, რომ თურქეთის იუსტიციის სამინისტრომ სარჩელი გააუქმა, რადგან ევროკავშირში შესვლის მსურველი თურქეთი საერთაშორისო ორგანიზაციებმა სიტყვის თავისუფლების აკრძალვაში დაადანაშაულეს. კოლეგის უფლებების დასაცავად კი მაშინ მასშტაბური აქცია გამართეს მსოფლიოში ცნობილმა მწერლებმა: გაბრიელ გარსია მარკესმა, გიუნტერ გრასმა, უმბერტო ეკომ, კარლოს ფუენტესმა, ჯონ აპდაიკმა, არიო ვარგას ლიოსამ და სხვებმა.

# გელათის აკადემიის და კორცხელის ტაძრის რეაბილიტაციას დააფინანსებენ

სოფელ კორცხელის ღვთისმშობლის ტაძრისა და გელათის აკადემიის რეაბილიტაციისთვის საჭირო თანხებს სახელმწიფო ბიუჯეტი გაიღებს.

სოფელ კორცხელის ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესის დამეწყრილი მონაკვეთის საყრდენი კედლის გამაგრებით და გელათის აკადემიის შენობის გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო განახორციელებს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განკარგულების საფუძველზე, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ამისთვის საჭირო თანხას "2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან" მიიღებს.

**მედიანიუსი**

# საქართველოში დიდმარხვის მეორე კვირიაკე აღინიშნა

გუშინ, მართლმადიდებელმა ეკლესიამ დიდმარხვის მეორე კვირიაკე აღნიშნა. ამ დღეს მოიხსენიებენ წმ. გრიგოლ პალამასს, თესალონიკელ ეპისკოპოსსა და სხვა წმინდანებს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საღმრთო ლიტურგია ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში აღავლინა.

ტაძრებში წირვაზე წმინდა სახარებიდან ის ადგილი წაიკითხეს, სადაც საუბარია კაპერნაუმში, უფლის მიერ ერთ-ერთ სახლში განრღვეულისთვის ცოდვათა მიტევებისა და განკურნების შესახებ.

თესალონიკელი ეპისკოპოსი წმინდა გრიგოლ პალამა მე-14 საუკუნეში მოღვაწეობდა. იგი ცნობილია, როგორც მწვალებლობის წინააღმდეგ მებრძოლი და მართლამადიდებლური სწავლების სწორად მქადაგებელი.

**ჯი-ეიჩ-ენი**

# "ქართული კინოდან" მსოფლიო კინემატოგრაფამდე

### გიორგი ოვაშვილის სრულმეტრაჟიანი ფილმი-დებიუტი - "გაღმა ნაპირი"

ნინია კაკაბაძე



30 წლიანი კინოსტაგნაციის შემდეგ ქართული კინო აღორძინებას იწყებს. 80-იანი წლების ბოლოდან ახალი საუკუნის პირველი ათწლეულის ბოლომდე ქართულმა კინომ ვერ მონახა არა მხოლოდ სახსრები და ტექნიკური საშუალებები, არამედ თემა და ფორმა, რომელსაც კინოხელოვნების მეშვეობით გამოხატავდა. გიორგი ოვაშვილის ახალი ფილმი "გაღმა ნაპირი" სწორედ ის ნამუშევარია, რომელიც არა მხოლოდ ქართველ მაყურებელს დააინტერესებს და არა მხოლოდ ლოკალურად, ერთ რეგიონზე იმუშავებს. ფილმი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზეა, მისი მთავარი გმირი 12-13 წლის თედო სოხუმიდან დევნილია, თბილისში დედასთან ერთად 7 წლის წინ წამოვიდა, მამა ტყვარჩელში დარჩა. ახალგაზრდა დედა თავს სხეულის ვაჭრობით ირჩენს, თედო კი მუშაობით, ქურდობით და ყველა იმ შესაძლებელი გზით, რომელიც საარსებო მინიმუმს მისცემს. დედა-შვილი ცალცალკე ცხოვრობენ, სახლი არც ერთს აქვს და არც მეორეს. თედოს ქართულ-აფხაზური ომის დროს ყველაფერი დაენგრა, მან დედაც დაკარგა და მამაც, დაკარგა სახლი და ბავშვობა. ამ ოცნების და მამის საძიებლად ის ტყვარჩელში მიდის. ოვაშვილის ფილმი მოგზაურობაა - გზა ოცნებამდე. სწორედ ამ დროს შეიძლება გაგახსენდეს ბერძენი კინორეჟისორის თეო ანგელოპულოსის ფილმი "პეიზაჟი ნისლში", სადაც ბავშვები (და-ძმა) მამის საძიებლად გერმანიაში მიემგზავრებიან. ოვაშვილის თედო და ანგელოპულოსის ვულა და ალექსანდრე, ან კი ტონინო გუერასა და ნუგზარ შატაიძის კინოგზის პატარა გმირები ოცნებას ეძებენ. თუმცა თავი დავანებოთ ანგელპულოსს, რადგან ეს მხოლოდ ასოციაციაა, ოვაშვილის ფილმი კი სრულიად განსხვავებული კინონაწარმოებია.



რატომ არის ფილმი საინტერესო? "გაღმა ნაპირი", როგორც უკვე ვთქვით, ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზეა, მაგრამ რეჟისორი არ ეძებს დამნაშავეს, ეს მხოლოდ გამოსავლის ძიებაა და ერთადერთი დამნაშავის გამოვლენა, რომელსაც ომი ან კონფლიქტი ჰქვია. აქ არ არიან ცუდები და კარგები, სიკეთე თუ ბოროტება. ორივე ნაპირზე, გაღმაც და გამოღმაც ადამიანები ცხოვრობენ. როგორც თავად რეჟისრომა ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში თქვა, ფილმი მთლიანად დაცლილია პოლიტიკური ქვეტექსტებისგან. არც რუსეთია აქ ერთმნიშვნელოვნად ბოროტმოქმედი, რომელიც საქართველოსა და აფხაზეთს შორის საზღვარს იცავს. ესეც სინამდვილეა და ყველამ იცის, რომ კონფლიქტურ რეგიონში ყველაზე მძიმე და სასტიკი ზონა საზღვარია, სადაც ადამიანები არა რომელიმე ბოროტი ძალის, არამედ ხელოვნურად გაჩენილი, დადებული საზღვარის მსხვერპლნი ხდებიან. აქვე შეიძლება გაგვახსენდეს ებრაელი კინორეჟისორის დოკუმენტური ფილმი "საზღვარი", რომელიც პალესტინა-ისრაელის გადამკვეთ პუნქტზე არის გადაღებული. ქართული ფილმის ერთ-ერთ ეპიზოდში ენგურის ხიდთან საზღვარზე, რუსი "ცისფერჩაფხუტიანი" ახალგაზრდა კაცს კლავს, რომელიც მას ზედმეტი ე.წ. "საბაჟოს" გადახდაში ეურჩება. სავარაუდოდ, სწორედ ამ ეპიზოდის გამო, "მესამე თვალმა" ფილმი ანტირუსულ ნაწარმოებად მონათლა. მაგრამ ეს სრული აბსურდია, რადგან გიორგი ოვაშვილი მხოლოდ იმ მანკიერებაზე საუბრობს, რომელიც გუშინდელმა დღემ მოიტანა, რომელიც სამწუხაროდ ყველა მხარეს ახასიათებს და ბოროტმოქმედებისკენ უბიძგებს. მთავარი ბოროტება კი ომია, რომელსაც არ ჰყავს ერთი დამნაშავე.

თუკი გნებავთ იხილოთ, როგორ შეიძლება ჭუჭყიანი პეიზაჟით ლამაზი კადრი შექმნათ, ირანელი ოპერატორის ამირ ასსადის ნამუშევარი უნდა ნახოთ. მძიმე სოციალური ფონი, ჭუჭყი, მიტოვებული და მოუვლელი გარემო ამირ ასსადის იმდენად მაღალპროფესიონალურად აქვს გადაღებული, რომ საბოლოო ჯამში ულამაზეს გამოსახულებას ვიღებთ. ირანელი ოპერატორის ყოველი კადრი საუკეთესო მაგალითია იმისა, რომ სილამაზე არ არის მხოლოდ მოწესრიგებული, ესთეტიკურად დახვეწილი, აკურატულად დალაგებული ბუნება, ადამიანი თუ ნივთი. სწორად დანახული და მოწოდებული "სიმახინჯეც" კი შესაძლებელია ლამაზი იყოს.

მძიმე სოციალური ფონი და ამ ფონზე - ერთი ადამიანის ისტორია. როდესაც საერთაშორისო კინოფესტივალებს ესწრებით, არ შეიძლება არ გაგიჩნდეთ კითხვა: რატომ აინტერესებთ ფრანგს, იტალიელს, გერმანელს და სხვა ნებისმიერი ქვეყნის წარმომადგენელ კინორეჟისორებს სოციალური თემა, სოციალურად დაუცველი ადმიანის ბედი?! და ამდენი ხნის მანძილზე საქართველოში რატომ არ გაჩნდა რეჟისორი, რომელიც საკუთარი სამშობლოს, ქვეყნის, გარემოს ადეკვატური იქნებოდა? მიუსაფრობის, მარტოობის, დაუცველობის, უმუშევრობის, უსახლკარობის პრობლემა თანამედროვე სამყაროს (ამასთანავე ხელოვნების) აქტუალურ საკითხად იქცა. სოციალურად დაუცველ ადამიანებთან მიახლოვებას, თანაგრძნობას, იდენტიფიცირებას ცდილობს თანამედროვე კინემატოგრაფი. საქმე ისაა, რომ საკუთარ გარემოსთან ადეკვატურობას, ამ გარემოს სწორად აღქმასა და განზოგადებას ოვაშვილის ფილმი მსოფლიო კინემატოგრაფთან მოჰყავს შესაბამისობაში. მაშინ, როდესაც ბელგიელი ძმები დარდენების ფილმებს უყურებ, მათი ფილმები ქართველ მაყურებელსაც კი გაცილებით უფრო ნაცნობ, ორგანულ პრობლემასთან აახლოვებს, ვიდრე ნებისმიერი უკანასკნელი წლების განმავლობაში შექმნილი ქართული კინოპროდუქცია. უნდა აღვნიშნოთ, რომ ლევან ზაქარეიშვილი პირველი იყო, ქართული კინოსტაგნაციის შემდეგ, ვინც საკუთარ ფილმში "თბილისი-თბილისი", პატარა ჩადგმული, შავთეთრი ნოველების სახით ქვეყნის სოციალური მდგომარეობის, ადამიანის ბედის კინორეალობა დამაჯერებლად შექმნა. ზაქარეიშვილის ფილმი ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, ხოლო გიორგი ოვაშვილმა ეს კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობით და კინემატოგრაფიული სიზუსტით მოახერხა.

იმ მიზეზით, რომ ფილმი ქართული კინოპროგრესის ნიშანია, აღარ მოვყვებით რამდენიმე წვრილმანი შენიშვნის განსჯას, რომელსაც ძირითადად გახმოვანების, მსახიობებთან მუშაობის პრობლემასთან მივყავართ. ეს პატარა ხარვეზები დეტალებია, რადგან თავად ფილმი ახერხებს, რომ მაყურებელი მისთვის ძალიან ნაცნობ, საინტერესო სამყაროში - ქართული კინოსთვის უკვე ძალიან უცნობი დამაჯერებლობით მოახვედროს, დააფიქროს და ააღელვოს.

პატარა თედო, მაშინ როდესაც განსაკუთრებულად უჭირს, როდესაც ის განსაკუთრებული ძალადობის თუ სისასტიკის მსხვერპლი ან მაყურებელი ხდება, თვალებს მაგრად ხუჭავს. ამ გზით ის რეალობისგან თავის დახწევას და მის საოცნებო სამყაროში მოხვედრას ცდილობს. საკუთარი მამის, სახლის, მისი საწყისის თუ ოცნების საძებნელად წასულ თედოს დანგრეული სახლი ხვდება, მამას ახალი ცოლი ჰყავს მოყვანილი და შვილებთან ერთად აფხაზეთიდან არის წასული... თედოს გზა დასრულებულია და ახლა აღარც წინ წასვლას აქვს აზრი და აღარც უკან დაბრუნებას, ის სასოწარკვეთილია. ფილმის უკანასკნელ ეპიზოდში თედო თვალს ხუჭავს და ახლა ეკრანზე უკვე მისი საოცნებო სამყარო მოჩანს - ულამაზესი პეიზაჟი, სადაც ჟირაფები დასეირნობენ. ყველაზე მძიმე დროს, მაშინ როდესაც ყველანაირი მოლოდინი გაუქმდა, იმედი და ოცნება ისევ რჩება, ეს კი იმას ნიშნავს რომ ცხოვრება გრძელდება. ასეთია ყველაზე პესიმისტური შედეგიდან ყველაზე ოპტიმისტური გამოსავალი. ამიტომაც ატარებს გიორგი ოვაშვილის ფილმი კინემატოგრაფიის მაღალპროფესიონალურ ნიშნებს - არაფერია მის ფილმში ცალსახა და ერთგვაროვანი არც გამოსახულება, არც ისტორია, არც ადამიანი, ხასიათი და არც გარემო. ამიტომ არის ის მსოფლიო კინემატოგრაფის ნაპირთან მიახლოვების შანსი.



ყოველ ორშაბათს საქართველოს ეროვნული მუზეუმი და გაზეთი "24 საათი" წარმოგიდგენთ პროექტს, რომელიც ეროვნულ მუზეუმში გაერთიანებული სხვადასხვა მუზეუმის გამორჩეული ექსპონატების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.



## ოქროს თასი თრიალეთიდან

საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანძურში დაცულ კოლექციებს შორის გამოირჩევა ე.წ. თრიალეთის კულტურისთვის დამახასიათებელი ოქროსა და ვერცხლის უნიკალური ნივთები.

XX საუკუნის 30-40-იან წლებში წალკის წყალსაცავის მშენებლობას წალკის რაიონში წინ უძღვოდა ფართო არქეოლოგიური კვლევა პროფესორ ბ. კუფტინის ხელმძღვანელობით. კუფტინის სახელთან არის დაკავშირებულ ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებული, დაახლოებით 4000-3500 წლის წინანდელი, შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთის ყორღანული კულტურის აღმოჩენა.

თრიალეთის კულტურისთვის დამახასიათებელ მრავალ ელემენტს შორის (მაღალი ხარისხის მოხატული თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს, ხის, ძვლის, ქვის იარაღი და სამკაული) გამორჩეულია უმაღლეს დონეზე ასული საიუველირო საქმე. ყორღანულ სამარხებში აღმოჩენილია ოქროს და ვერცხლის ჭურჭელი, სხვადასხვა სახის სამკაული.

ამ ეპოქაში ჩნდება ნივთის შემკობის ახალი ტექნიკა - გავარსი, ფილიგრანი, ფერადი ქვებით მორთული აპლიკაციები და ა.შ.

შუაბრინჯაოს ხანის საიუველირო საქმის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს ნახევრადძვირფასი ქვებით მოჭედილი ოქროს თასი, რომელსაც ანალოგი მსოფლიოს არცერთ სამუზეუმო კოლექციაში არ მოეძებნება.

თასი ორმაგი ოქროს ფურცლისგან არის დამზადებული, რომელსაც ზედაპირზე მირჩილული აქვს ფერადი ქვებით. დეკორისათვის გამოყენებულია სარდიონი და ფირუზი. თასი მორთული ოქროსავე აპლიკაციები. ამ უნიკალური თასის შესამკობად გამოყენებულია გავარსის ტექნიკა. მის ძირზე კი თვალბუდეებში ჩასმული ფირუზის თვლებიანი ოთხფურცლიანი ჯვრისებური გამოსახულებაა დატანილი.

თრიალეთის თასი, როგორც მას მეცნიერები უწოდებენ სრულად ასახავს საქართველოს ტერიტორიაზე ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულში ოქრომჭედლობის განვითარების უმაღლეს დონეს.

ამდენად, თრიალეთის თასი წარმოადგენს უმაღლეს საფეხურზე ასული საიუველირო ხელოვნების ნათელ მაგალითს, რომელშიც თავმოყრილია ყველა ის ინოვაცია, რაც ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში ჩნდება ქართულ ოქრომჭედლობაში.

**მინდია ჯალაბაძე**
**საქართველოს ეროვნული მუზეუმი**

# ირანული ფილმები ქართველებისათვის ნაცნობი პრობლემებით

ბელა ჩეკურიშვილი




თქვენთვის ზედმეტია იმის შეხსენება, როგორაა განვითარებული ირანში კინოწარმოება და როგორია ირანული კინოს წარმატებები მსოფლიო კინოფესტივალებზე", - გვითხრა ირანის ელჩმა საქართველოში მოჯთაბა დამირჩილუმ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში ირანული ფილმების კვირეულის გახსნაზე.

სამწუხაროდ, ქართველმა მაყურებელმა მხოლოდ ინფორმაციულად იცის ამ წარმატების შესახებ. იცის, რომ მსოფლიო კინემატოგრაფში გაჩნდა ცნება ირანული კინო", მაგრამ მასთან შეხება იშვიათად გვქონია. ჩვენი ცოდნა ემყარება იმ რამდენიმე ფილმს, რაც ტელეგადაცემა ფსიქოს" წყალობით ვნახეთ რუსთავი 2-ს ეთერში და სხვადასხვა წლებში ფესტივალ პრომეთეზე" მონაწილე ირანელი რეჟისორების ნამუშევრებს, რომელსაც კინომოყვარულთა ვიწრო წრე თუ ესწრება ხოლმე.

ირანული კინემატოგრაფი კი საკმაოდ სწრაფი ნაბიჯებით ვითარდება და ეს განსაკუთრებით ისლამისტური რევოლუციის შემდეგ მოხდა. ბოლო პერიოდში ირანში ყოველწლიურად 80-მდე ფილმი კეთდება, რომლებიც 200-მდე საერთაშორისო კინოფესტივალზე იღებენ მონაწილეობას.

რაც შეეხება თბილისურ კვირეულს, რომელიც ირანული კულტურის დღეების შემადგენელი ნაწილია, ხელოვნების ნიმუშების გამოფენასა და ტრადიციული მუსიკის კონცერტებთან ერთად, მასზე მაყურებელს საშუალება აქვს ნახოს უახლოეს წლებში გადაღებული 8 სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. აქ ისევ ირანის ელჩს მოვიშველიებ: რათა ქართული საზოგადოება გაეცნოს და დაუახლოვდეს თანამედროვე ირანულ კულტურას".

არ ვიცი, რას განიცდიდნენ სხვები სამხატვრო აკადემიაში ფერწერული, კერამიკული, კალიგრაფიისა და ხეზე კვეთის ნიმუშების გამოფენაზე, ანდა რა გრძნობა ჰქონდათ გულში, როცა ამ ფილმებს უყურებდნენ, მე ჩემს ემოციას გეტყვით: მოულოდნელად ვიგრძენი, რომ ეს კულტურა, რომელიც საუკუნეების მანძილზე ასე ახლოს იყო ჩვენთან, საოცრად მშობლიურობის განცდას ტოვებს, რომ ეს ესთეტიკა სისხლში მაქვს დალექილი და რომ ძალიან მენატრება...

დღეს ბევრს საუბრობენ ირანული კინოს აღმავლობაზე და ხშირად ცდილობენ, გაარკვიონ ამ აღმავლობის მიზეზები. რასაკვირველია, ამას ერთი მიზეზი არ აქვს, ისევე როგორც ქართული კინოს კრიზისს. როცა ირანულ კულტურაზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ იქ ასევე სწრაფი ტეპით ვითარდება ლიტერატურა, სახვითი და ფოტო ხელოვნება. ირანი დიდი სახელმწიფოა, სადაც უზარმაზარი საშუალებებია იმისათვის, რომ კინოწარმოება განვითარდეს. ირანული ფილმი არ არის დამოკიდებული უცხოელ სპონსორზე, რომელიც თავის პირობებს უკარნახებს რეჟისორს.

ირანული ფილმები რამდენიმე ტიპისა და მიმართულებისაა. როგორც ყველა კინემატოგრაფში, ძირითადი ნაწილი სამაყურებლო, ანუ, საშემოსავლო ფილმებია. ძირითადად, ეს არის მელოდრამები, სხვადასხვა ცხოვრებისეული სიტუაციის გააზრებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ირანულ კინოში ძალიან არის განვითარებული ქალთა კინემატოგრაფი, რომელთაც თავისი პრობლემები მოაქვთ. დღეს ძალიან ცნობილია რეჟისორ ბანი ეთემადის სახელი, რომელმაც ორი ძალიან გახმაურებული ფილმი გადაიღო, ერთი ეხება პატიმარ ქალებს, მეორე კი განქორწინების პრობლემას ირანში. როგორც წესი, იქ განქორწინებისას შვილები მამას რჩება, რაც მოტივირებულია იმით, რომ დედას მათი რჩენა არ შეუძლია, მაგრამ ჩნდება მეორე პრობლემა: უდედობა ამ ბავშვებისთვის და ქალის განცდები, რომელსაც ხშირ შემთხვევაში უფლება აღარ აქვს ნახოს შვილები. ბანი ეთემადის ფილმში სწორედ ამ კუთხით იყო ასახული ქალის განცდები.

ირანულ კინოში ბევრია ე.წ. აქტუალურ თემატიკაზე გადაღებული ფილმები. საერთოდ, აღმოსავლურ ხელოვნებას დეკლარაციულობა ახასიათებს. ეს კინოშიც ჩანს, თუმცა იქაური მაყურებლის მოთხოვნაც ასეთია და შეიძლება სხვანაირი ფილმი ვერც მიიღოს. ამიტომ, როცა ფილმში პრობლემა ისმება, ხშირ შემთხვევაში ეს პრობლემა დეკლარაციულ ფორმას ატარებს. ხშირია ფილმები, სადაც რეჟისორი თავის პოზიციას აფიქსირებს ქვეყანაში მიმდინარე გარკვეულ მოვლენებთან დაკავშირებით. ეს არის სააზროვნო კინო, რომელსაც შეიძლება ევროპაში არ ჰქონდეს დაინტერესება, მაგრამ იქაურ მაყურებელს პურივით სჭირდება და თუ ირანული თვალთახედვით შევაფასებთ, ეს ფილმები გაცილებით მნიშვნელოვანია ერისათვის. რეჟისორი ხომ კინოს, პირველ რიგში, თავისი ხალხისათვის იღებს.

მესამე კატეგორიის ფილმებს განეკუთვნება ევროპაში ცნობილი და უკვე აღიარებული რეჟისორების ნამუშევრები, რომელიც ირანისტებს ნაკლებად მოსწონთ, რადგან ეს არის კარგად შეფუთული აღმოსავლეთი, თავისი ეგზოტიკით. ირანელ რეჟისორთა გარკვეული ნაწილი უფრო გამჭრიახი აღმოჩნდა და მიხვდნენ, როგორ შეფუთონ ფილმი ისე, რომ მისაღები გახადონ ევროპელი მაყურებლისვის. დღეს ევროპაში ძალიან ცნობილი სახელებია აბას ქიაროსთამი და მახმალბაფების სკოლა - მოჰსენ მახმალბაფი და მისი ქალიშვილი სამირა, რომელმაც 19 წლის ასაკში გადაიღო პირველი ფილმი.

ამჯერად ირანული კინოს კვირეულზე ტელევიზიის პროდუქცია იყო წამოდგენილი. ამ ქყვეყანაში კინოწარმოების მხრივ ტელევიზიაც დიდ აქტიურობას იჩენს. რეჟისორმა აბდოლრასოულ გოლბონმა თვითონ წარუდგინა საკუთარი ფილმი ქართველ მაყურებელს. სამოთხე სადღაც სხვაგანაა" მან 2003 წელს გადაიღო, ფილმს მონაწილეობა აქვს მიღებული 20 საერთაშორისო კინოფესტივალზე და 4-ჯერ არის პრიზირებული. ფილმი ემიგრაციის თემას ეხება. მოქმედება ხდება ავღანეთისა და ირანის საზღვარზე, პატარა ქალაქში, სადაც 17 წლის ბიჭი ეიდუქი არაბეთის გაერთიანებულ საემიროში წასვლაზე ოცნებობს, თავის მხრივ კი, ირანში ავღანეთიდან გადმოდიან ემიგრანტები.

ფილმის თემატიკა სრულიად გასაგები იყო ქართველი მაყურებლისათვის და პატარა ირანელი ბიჭის პრობლემებიც ძალიან გვეცნო და გვეტკინა.

რეჟისორს უყვარს თავისი გმირები, ისინი გუნათლებელი მწყემსები არიან, მაგრამ არ დასცინის მათ გულუბრყვილო ოცნებებს. ამ ფონზე ოჯახურ ურთიერთობებსაც შეგვიძლია მივადევნით თვალი და სპარსული ვენდეტის მომსწრენიც გავხდეთ.

ჩვენ ყველა სამოთხისაკენ მივისწრაფით, ყველა სადღაც ვეძებთ მას. სამყარო სავსეა განსხვავებული მიზნებითა და ოცნებებით, ვეძებთ ახალ ჰორიზონტებს, მაგრამ შეიძლება სამოთხე სწორედ იქაა, სადაც ვართ" - გვითხრა რეჟისორმა, თუმცა კი, მისი თქმით, ემიგარცია მარადიული პროცესია, ასე მიგრირებენ ევროპელები ამერიკაში, აზილები ევროპაში, ირანელებიც ასევე მიდიან სხვადასხვა ქვეყნებში უკეთესი მომავლის მოსაძებნად. ასე რომ, ძალიან მტკივნეულად ნუ განიცდით თქვენს თანამოძმეთა ქვეყნიდან გასვლასო, გამამხნევა ჩემს შეკითხვაზე. ბატონ გოლბონს აღარ შევეკამათე. თუმცა კი, ქართველთა და ირანელთა ბედი ძალიან ჰგავს ერთმანეთს, როცა ისინი საკუთარ ფესვებს სწყდებიან და სამოთხის პოვნას უცხო ქვეყნებში აპირებენ, სადაც მარადიულ შავ მუშახელად რჩებიან.

ფილმი სამოთხე სადღაც სხვაგანაა" გვახსენებს არა მხოლოდ იმ ადამიანების მცდელობას, მოიპოვონ უკეთესი მდგომარეობა უცხოეთში, არამედ იმათაც, ვინც საზღვარგარეთ დარჩნენ და ქვეყნისთვის დავიწყებულნი არიან.

ემიგრაციის თემას ეხება რეჟისორ ნადერ მოგადის ფილმი არჩევანი", ხოლო დანარჩენი ფილმები ისე არის შერჩეული, რომ მთავარი პერსონაჟები ქალები არიან. მაგალითად მზე ყველასთვის ერთნაირად ანათებს" მუსულმანი და ქრისტიანი გოგონას მეგობრობას ეხება, ღამის ავტობუსი" ანტისაომარ განწყობას ატარებს, ბუნების გადარჩენაზეა სიცოცხლის ხე", ხოლო რელიგიური თემაა წამოწეული ფილმში ყოველღამით, მარტოობა", რომელიც გვიყვება, რატომ ლოცულობენ ადამიანები, რატომ დადიან ისინი წმინდა ადგილებში. ირანულ ტრადიციებსა და სტუმართმოყვარეობაზე მოგვითხრობს დარიუშ მეჰრჯუ ფილმში დედის სტუმარი", რომელიც ამ ტრადიციების პაროდირებით ნანა მჭედლიძის იმერული ესკიზებს" გაგახსენებთ. ეს თეირანის ძველ უბანში ხდება, საერთო სამეზობლო ეზოში, ძველ თბილისს რომ ჩამოჰგავს, სადაც ყველამ ყველას შესახებ ყველაფერი იცის.

ამ ფილმზე მაყურებელი მხიარულად იცინოდა, ალბათ ისინიც ჩემსავით პარალელებს ავლებდნენ გულში.

როგორც ირანული კინოსადიტრიბუციო კომპანიის წარმომადგენელმა ალირეზა შაჰროკიმ გვითხრა, ირანული მხარე გეგმავს ქართულ კინოგაქირავებას საკუთარი ქვეყნის პროდუქცია შესთავაზოს. ამისათვის მათ პირველ რიგში მაყურებლის რეაქცია აინტერესებთ, ანუ, რა თემატიკაზე იქნება ქართველი მაყურებელი მგრძნობიარე. შეგვიძლია თემატური კვირეულები მოვაწყოთ, თუ დაინტერესება იქნება, ცალკე წარმოვადგინოთ ქალთა კინემატოგრაფი"- გვითხრა ალირეზა შაჰროკიმ.

პირველი ფილმის ჩვენების შემდეგ ბატონმა შაჰროკიმ ერთგვარად მოგვიბოდიშა კიდეც: ჩვენ ის ფილმები ჩამოვიტანეთ, სადაც ირანის სხვადასხვა მხარეებია გადაღებული, ჩვენთან მხოლოდ ხრიოკი უდაბნო კი არ არისო. ამით მივხვდი, რომ ისინიც არანაკლებ ცუდად გვიცნობენ და რომ ამგვარი გაურკვევლობა ცოტა არ იყოს საშიშია.

ცნობილი ირანისტი, მთარგმნელი და მეცნიერი გიორგი ლობჟანიძე, რომელმაც რამდენიმე წელი თეირანის უნივერსიტეტში გაატარა, დარწმუნებულია, რომ თუ კინოგაქირავების საორგანიზაციო საკითხები მოგვარდება, ქართველ მაყურებელში ირანული კინემატოგრაფი დიდ ინტერესს გამოიწვევს.

**გიორგი ლობჟანიძე**: ხშირ შემთხვევაში ირანულ კინოში ნაჩვენები პრობლემები ძალიან ჰგავს ქართულს და რატომ არ უნდა იყოს ინტერესი, ირანული კინო შემოვიდეს ჩვენს ტელესივრცეში. ჩემი იდეა იქნებოდა, არა მხოლოდ საავტორო ფილმები, თუნდაც რომელიმე ირანული სერიალი გასულიყო ჩვენს ტელეეკრანებზე. ეს საინტერესო იქნებოდა ამ მეზობელი ქვეყნის გაცნობის თვალსაზრისითაც. როცა წლების წინ თურქული სერიალი აჩვენეს, საკმაოდ პოპულარობით სარგებლობდა. არანაკლებ საინტერესოა ირანული სერიალები და ვენესუელურზე მაღალმხატვრულიც არის."

ირანული კინოს თავისებურება ისიც არის, რომ რეჟისორები, როგორც წესი, თვითონ არიან საკუთარი ფილმების დრამატურგები, ანუ მთელი ეს პროდუქცია, ერთი ადამიანის გააზრებულია. ზოგადად, კინომცოდნენი ამ ფაქტს არასდროს მიესალმებიან, მაგრამ ირანული კინოს შემთხვევაში ეს მომენტი როგორც ჩანს, ამართლებს.

## პსპ-ს "ჩემი ოჯახის ბარათის" გათამაშებაში გამარჯვებულები

| | პრიზების დასახელება | ბარათის ნომერი |
|---|---|---|
| 1 | 2000 ლარიანი ელექტრო ტექნიკის ვაუჩერი | 00002709 |
| 2 | 2000 ლარიანი ელექტრო ტექნიკის ვაუჩერი | 00044229 |
| 3 | 2000 ლარიანი ელექტრო ტექნიკის ვაუჩერი | 00057009 |
| 4 | 2000 ლარიანი ელექტრო ტექნიკის ვაუჩერი | 00002998 |
| 5 | 2000 ლარიანი ელექტრო ტექნიკის ვაუჩერი | 00062699 |
| 6 | 300 ლარიანი ხელფასი 1 წლის განმავლობაში | 00013118 |
| 7 | 300 ლარიანი ხელფასი 1 წლის განმავლობაში | 00018623 |
| 8 | 300 ლარიანი ხელფასი 1 წლის განმავლობაში | 00081895 |
| 9 | 300 ლარიანი ხელფასი 1 წლის განმავლობაში | 00033731 |
| 10 | 300 ლარიანი ხელფასი 1 წლის განმავლობაში | 00008186 |
| 11 | ორკაციანი საგზური იერუსალიმში სააღდგომოდ | 00062917 |
| 12 | ორკაციანი საგზური იერუსალიმში სააღდგომოდ | 00002010 |
| 13 | ორკაციანი საგზური იერუსალიმში სააღდგომოდ | 00024470 |
| 14 | ორკაციანი საგზური უეფას თასის ფინალზე დასასწრებად | 00020290 |
| 15 | ავტომანქანა NISSAN XTRAL | 00010357 |

# სპორტი

## ახლა რუსების ჯერია

ერთა თასის მატჩებში საქართველოს ნაკრები, როგორც იქნა, სასურველ რიტმში აეწყო და რაგბის ახალ წესებს ალღო აუღო. რაკი, სიახლის თანახმად, მოლის ჩაშლა შეიძლება, ახლა "ბორჯღალოსნები" შერკინების მოკლე მიძალების შემდეგ ხაზზე შლიან მარაოს და სწრაფი გარღვევებით ცდილობენ ლელოს გატანას. ასეთი ლელო რუმინეთს ნაკრებში დაბრუნებულმა მალხაზ ურჯუკაშვილმა გაუტანა და გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. ამისთვის ტიმ ლეინმა ქათინაურები არ დაიშურა ურჯუკაშვილის მისამართით.

მანამდე იყო ირაკლი მაჩხანელის ასევე ხაზზე გარღვევით გატანილი ორი ლელო და სამი ჯარიმა, რომლებიც კვირიკაშვილმა და მალაღურაძემ გამოიყენეს. ამრიგად, რუმინეთს ჩვენი შეხვედრების ისტორიაში მეხუთედ მოვუგეთ და ანთიმოზ ივერიელის სახელობის გარდამავალი თასიც თბილისში დავიტოვეთ.

ახლა ერთა თასის ფარგლებში ერთადერთი მატჩი დაგვრჩა გასამართი რუს "დათვებთან" და თუ ეს თამაში მოვიგეთ, წლევანდელ ტურნირს პირველ ადგილზე დავასრულებთ, რაც კარგი წინაპირობა იქნება მსოფლიო თასის საგზურის მოსაპოვებლად. რუსებთან შეხვედრისთვის, რომელიც უკრაინის ქალაქ მარიუპოლში 22 მარტს გაიმართება, ჩვენი ქვეყნის ნაკრებში რამდენიმე ცვლილებაა მოსალოდნელი. კერძოდ, გუნდს ილო ზედგინიძე დაუბრუნდება. მოსალოდნელია აქვსენტი გიორგაძის თამაშიც.

**ელის მიჩენი (რუმინეთის ნაკრების მწვრთნელი):** "ვერ შევასრულეთ ის გეგმა, რომელიც დასახული გვქონდა ამ თამაშისთვის. ჩვენს ყველაზე დიდ პრობლემად მესახება დერეფანი. ამ კომპონენტისას საქართველოსთან თამაშის დროს აშკარად ვერ გამოვიყურებოდით სასურველ დონეზე. ამ მიმართულებით ბევრი სამუშაო გვაქვს. თამაშის ასეთი დასაწყისი ჩემთვის მოულოდნელი არ იყო. მოედანზე მოსაგებად გამოვედით და, ბუნებრივია, მოვლენათა ასეთი განვითარება ჩვენს გეგმებში შედიოდა. თუმცა შემდეგ გუნდმა დაკარგა კონცენტრაცია, სათამაშო დისციპლინა და გაუგებარ გადაწყვეტილებებს იღებდა. თუნდაც მოედნის ცენტრისკენ ბურთის დარტყმა ავიღოთ. ასევე იყო მრავალი მიუღებელი ნიუანსი... დავუშვით ისეთი შეცდომებიც, რაც რუსეთთან თამაშის დროს მოგვივიდა. რუსეთი არ არის სუსტი ნაკრები, მაგრამ თუ საქართველომ გამოიყენა თავისი ძლიერი მხარეები, ვფიქრობ, რუსეთს ადვილად დაამარცხებს."

**ტიმ ლეინი (საქართველოს ნაკრების მწვრთნელი):** "თავიდან ისე ვერ დავიწყეთ, როგორც გვინდოდა. ცოტა სუსტად თამაშობდა ჩვენი გუნდი, დაიწყო ჯარიმით და ადვილად გატანილი ლელოთი, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ბიჭებმა არ ინერვიულეს, მოიკრიბეს ძალ-ღონე, სჯეროდათ საკუთარი შესაძლებლობების და თავიანთი გასაკეთებელი გააკეთეს. დიდი უპირატესობა გვქონდა თამაშის გარკვეულ კომპონენტებში - სტატიკაში, დერეფანში, აუტში, მოლში, რაქში, შერკინებაში, თუმცა, სამწუხაროდ, ამ უპირატესობის შესატყვისი შედეგი ვერ ვაჩვენეთ. ზოგიერთ მომენტში უცნაურ გადაწყვეტილებას იღებდა ლაშა მალაღურაძე, ჩვენი ათი ნომერი. მეტოქის 22-თან, ნაცვლად იმისა, რომ წინ წასულიყო, რამდენჯერმე ფეხით გადაკიდება არჩია, თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მალაღურაძე ახალგაზრდაა. ორიოდე წელია თამაშობს ნაკრებში და კიდევ აქვს დრო, რომ ჩამოყალიბდეს სრულყოფილ მოთამაშედ. მთელ რიგ მომენტებში ის ბრწყინვალედ თამაშობდა. ჩვენი გუნდი ტაქტიკური თვალსაზრისითაც ვერ წყვეტდა ვარსკვლავებს, მაგრამ მაინც, როგორც საჭიროა, ბიჭებმა ისე ითამაშეს. მართალია, მერაბ კვირიკაშვილმა ორი ჯარიმა ვერ გამოიყენა, მაგრამ საერთო ჯამში კარგად თამაშობდა და კმაყოფილი ვარ. 15 ნომერზე მალხაზ ურჯუკაშვილი ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტია, თუმცა არა მგონია, რომ ფულბეკის შეცვლა ახლა უპრიანი იყოს. მეორე მატჩია, რაც მახო ჩემი ხელმძღვანელობით ნაკრებში თამაშობს. შარშან ესპანეთთან ვნახე ეს ბიჭი. მაშინ არ ჰქონია იმის საშუალება, რომ ბურთი ხელში დაეჭირა. ამ მატჩში ეს კარგად გამოუვიდა. კმაყოფილი ვარ ურჯუკაშვილით. მიმაჩნია, რომ ძლიერი და ჭკვიანი მოთამაშეა. მას შეუძლია თამაშის კარგად ინტეპრეტირება. ჩვენი ნაკრებისთვის ურჯუკაშვილი მნიშვნელოვანი ფიგურაა. ველოდები აქვსენტი გიორგაძის ანალიზების შედეგებს. ვფიქრობ, ყველაფერი წესრიგში იქნება. დაგვემატება ილია ზედგინიძე, რომელსაც ახლა ვასვენებთ, რადგან მისი გამოცდილება რუსეთთან თამაშისთვის უფრო საჭიროა. სავარაუდოდ, ეს ორი ცვლილება იქნება. რაც შეეხება თედო ზიბზიბაძეს, რენტგენი აჩვენებს მდგომარეობას. გადაწყვეტილებასაც ამის მიხედვით მივიღებთ."

**გოდერძი შველიძე:** "ეს ჩემთვის ორმოცდამეათე თამაში იყო. ამიტომ ორმაგი სიამაყით ვარ გამსჭვალული. რთულ ბრძოლაში გავიმარჯვეთ. რუმინეთს მოვუგეთ და გარდამავალი თასი ისევ ჩვენ დაგვრჩა. უსაზღვროდ გვიხარია, რადგან მეტოქე ღირსეული გვყავდა. მასთან გამარჯვება ყოველთვის სასიხარულოა."



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*მახო ურჭუკაშვილმა რუმინეთს მესამე ლელო გაუტანა.*

**საქართველო - რუმინეთი 28:23**

**საქართველო:** 1. დავით ხინჩაგიშვილი (ანტონ ფეიქრიშვილი), 2. ირაკლი ნატრიაშვილი, 3. გოდერძი შველიძე (დავით ქუბრიაშვილი), 4. ლევან დათუნაშვილი (კახა უჩავა), 5. რატი ურუშაძე, 6. გრიგოლ ლაბაძე, 7. გიორგი ჩხაიძე, 8. მამუკა გორგოძე (დიმიტრი ბასილაია), 9. ირაკლი აბუსერიძე (ბიძინა სამხარაძე), 10. ლაშა მალაღურაძე, 11. მალხაზ ურჯუკაშვილი, 12. თედო ზიბზიბაძე (ალექსანდრე თოდუა), 13. დავით კაჭარავა, 14. ირაკლი მაჩხანელი (ოთარ ბარკალაია), 15. მერაბ კვირიკაშვილი.

**3 ლელო:** მაჩხანელი (2), ურჯუკაშვილი

**2 გარდასახვა:** კვირიკაშვილი, მალაღურაძე

**3 ჯარიმა:** კვირიკაშვილი, მალაღურაძე (2)

**სინბინი:** ნატრიაშვილი

**რუმინეთი:** 1. ნიკოლაი ნერე (მიჰაიტა ლაზარი), 2. ფლორინ ტასკა (კატალინ ბეკა), 3. პაულიკა იონი, 4. ალინ კოსტე (ვალენტინ პოპილანი), 5. კოზმინ რატიუ (დანიელ კარპო), 6. სტელიან ბურკეა, 7. ალექსანდრ ტუდორი, 8. კოსტიცა მერსოუ / 9. ვალენტინ კალაფეტეანუ, 10. რაზვან სტანკა, 11. იონუტ ბოტეზატუ, 12. იონუტ ტიმოფტე, 13. ადრიან ბურდულისეანუ, 14. კატალინ ნიკოლაე (სტეფან კინტუ), 15. ფლორინ ვლაისუ.

**2 ლელო:** ბურდულისეანუ

**2 გარდასახვა:** კალაფეტეანუ

**3 ჯარიმა:** კალაფეტეანუ

## „ოფროუდერს კლუბის" შეჯიბრი თბილისში

მოხარულები ვართ გაცნობოთ, რომ ა.წ. 22 მარტს, საქართველოს ოფროუდერს კლუბის მიერ, მოეწყობა ოფროუდ შეჯიბრი GPS ორიენტირებაში.

შეჯიბრში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ მსურველს ვინც დააკმაყოფილებს შემდეგ პირობებს

1) უნდა ჰქონდეს B კატეგორიის მართვის მოწმობა
2) უნდა ყავდეს 4X4 ტიპის მსუბუქი ავტომობილი
3) უნდა ჰქონდეს GPS ნავიგატორი და ციფრული ფოტოაპარატი.
4) უნდა წამოიყვანოს შტურმანი.
5) გადაიხადოს შენატანი 30 ლარი.

სხვა პირობები მოცემულია შეჯიბრის რეგლამენტში

GPS ორიენტირების არსი - მონაწილეს მიეცემათ 50-მდე წერტილის კოორდინატები. წერტილები გაფანტულია სოფელ ორბეთის მიმდებარე ტყეებში. ყოველი წერტილის დალაშქვრისათვის მონაწილეს მიეცემა საპრიზო ქულები. წერტილებს სირთულის მიხედვით ექნებათ სხვა და სხვა წონა. ამავე დროს წერტილების დალაშქვრის თანმიმდევრობა არაა რეგლამენტირებული. წერტილების დასალაშქრი ჯამური დრო არის შეზღუდული. ამ დროის გასვლის შემდეგ იწყება საჯარიმო დროის ათვლა. ხოლო საჯარიმო დროის დასრულების შემდეგ მონაწილეს არჩათვლა ეწერება. ფინიშზე უფრო ადრე მისვლა უპირატესობაა მხოლოდ თანაბარი ქულების შემთხვევაში

შეჯიბრი იწარმოებს სამ ჩათვლით ჯგუფში.

1) სტანდარტი - ჩვეულებრივი დაულიფტავი ავტომობილები სტანდარტული ზომის საბურავებზე.

2) მომზადებული - მომზადებული ავტომობილები ელექტრო ჯალამბარების გარეშე

3) ექსტრიმი - ელექტრო ჯალამბარიანი მანქანები.

დანარჩენი ნიუანსები რეგლამენტშია მოცემული.

შეჯიბრის სრული რეგლამენტი და დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ საიტზე http://orbeti.offroad.ge

აქვე შეგიძლიათ ნახოთ განაცხადის ელექტრონული ფორმა, შეაქვსოთ ის და გამოაგზავნოთ ელ. ფოსტით მისამართზე orbeti@offroad.ge

**საქართველოს**
**"ოფროუდერს კლუბი"**
**519732, 423571**

### რუსეთი საქართველოსთან ჭახისთვის თურქეთში ემზადება

რუსეთის სარაგბო ნაკრები, რომელიც "ერთა თასის" გათამაშებაში საქართველოსთან ჯახისთვის ემზადება, შეკრებაზე თურქეთში გაემგზავრა. რუსები კურორტ ბელეკში 20 მარტამდე დარჩებიან, შემდეგ კი დონეცკის გავლით მარიუპოლს მიაშურებენ, სადაც 22 მარტს "ბორჯღალოსნებთან" მატჩი შედგება. რუსეთის ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ნიკოლაი ნერუშმა თურქულ შეკრებაზე 25 მორაგბე იახლა: ხროკინი, ვოიტოვი, კორშუნოვი, გრესევი, მოტორინი, შაკიროვი, კუშნარიოვი, ტრიშინი, კუზინი, ბაბაევი, კლიუჩნიკოვი, ტრავკინი, მატვეევი, მარჩენკო (ყველა - "ვვა-პოდმოსკოვიე"), ბოტვინიკოვი, გერასიმოვი, პრიშჩეპენკო, ფატახოვი (ყველა - "ენისეი"), გვოზდოვსკი, გარბუზოვი (ორივე - "კრასნი იარი"), მედკოვი, იანუშკინი (ორივე - "სლავა"), კულემინი ("კასტრი", საფრანგეთი), ოსტრიკოვი ("აჟენი", საფრანგეთი), არტემიევი (დუბლინის უნივერსიტეტი, ირლანდია).

### ტრეზეგე რანიერის წინააღმდეგ

ტურინის "იუვენტუსის" ფრანგი თავდამსხმელი დავიდ ტრეზეგე გამოტოვებს სერია A-ს უახლოეს მატჩს, რომელშიც "ბებერი ქალბატონის" მეტოქე "ბოლონია" იქნება. ამჯერად ამის მიზეზია არა ტრავმა, არამედ გუნდის თავკაცთან უთანხმოება. საქმე ისაა, რომ "ჩელსისთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩის შემდეგ ფეხბურთელმა დაუფარავად და აგრესიულად გამოხატა უკმაყოფილება მოედნიდან მისი გაყვანის გამო. შედეგად, კლაუდიო რანიერიმ იგი დასაჯა და "ბოლონიასთან" მატჩისთვის განაცხადში არ შეიყვანა. "ყოველთვის ვცდილობდით, საკუთარი პრობლემები "ოჯახს" გარეთ არ გაგვეტანა, მაგრამ... სამწუხაროდ, ტრეზეგემ ზედმეტის უფლება მისცა თავს. მისმა კრიტიკულმა განცხადებამ ჩემზე ძალიან იმოქმედა. ბოლო დროს დავიდი დიდი მონდომებით ვარჯიშობდა. ჩემი მხრიდან, მეც ყველაფერი გავაკეთე, რათა მას ოპტიმალური კონდიცია მაქსიმალურად სწრაფად აღედგინა და უმოკლეს დროში დაბრუნებოდა შემადგენლობას. ტრეზეგეს ყოველთვის დიდი პატივისცემით ვეპყრობოდი, პასუხად კი დაუმსახურებელი კრიტიკა მივიღე", - ამბობს გულდაწყვეტილი რანიერი.

### დოშ სანტოსი გაანათხოვრეს

ლონდონის "ტოტენჰემის" მექსიკელი ლეგიონერი ჯოვანი დოშ სანტოსი სეზონის დარჩენილ ნაწილს იჯარის საფუძველზე ჩემპიონლიგის ბინადარ "იფსვიჩში" გაატარებს. 19 წლის სამხრეთამერიკელი "დეზების" შემადგენლობაში გასულ ზაფხულს "ბარსელონადან" გადავიდა. თუმცა, "ტოტენჰემის" შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება ვერ შეძლო ვერც ხუანდე რამოსის თავკაცობის პერიოდში და ვერც ჰარი რედნაპის მისვლის შემდეგ.

დოშ სანტოსის "უაით ჰარტ ლეინიდან" შესაძლო აბარგების შესახებ იანვრის სატრანსფერო პერიოდშიც საუბრობდნენ. სავარაუდო ვარიანტთა შორის მისი "ბარსელონაში" დაბრუნებაც სახელდებოდა, მაგრამ თავად ფეხბურთელმა დარჩენა გადაწყვიტა - რედნაპს ჩემი შესაძლებლობები უნდა დავუმტკიცოო.

როგორც ჩანს, პერსპექტიულმა მექსიკელმა მაინც ვერ შეძლო დამრიგებლის თავის ქმედითუნარიანობაში დარწმუნება და საიჯარო ხელშეკრულებაც გაფორმდა. უფრო სწორად, თუ ყველა ფორმალობა დროულად მოგვარდა, დოშ სანტოსი შაბათს "იფსვიჩის" ფორმით "რედინგს" დაუპირისპირდება. მექსიკელმა "ტოტენჰემის" შემადგენლობაში 6 პრემიერლიგური მატჩი ჩაატარა, თუმცა გოლი ვერ გაიტანა. დოშ სანტოსს საკუთარი გოლების ანგარიში ჯერ არც ეროვნულ გუნდში გაუხსნია, არადა, მის აქტივში (თუ პასივში) 11 სანაკრებო მატჩია. ერთი კვირის წინ "ტოტენჰემმა" კიდევ ერთი ფეხბურთელი გაასხვისა - ადელ ტაარბატი "ქუინზ პარკ რეინჯერსში" გაანათხოვრა. რაც შეეხება დოშ სანტოსის ახალ კლუბს, "იფსვიჩი" ჩემპიონლიგაში მეათე ადგილზეა და დიდი სხვაობით ჩამორჩება იმ გუნდებს, რომლებიც პრემიერლიგაში აღზევებაზე აცხადებენ პრეტენზიას.

## პიკეს "არსენალი" ურჩევნია

ბარსელონას ახალგაზრდა მცველი ჯერარდ პიკე მიიჩნევს, რომ ჩემპიონთა ლიგის 1/4 ფინალში მისი გუნდისთვის არსენალთან დაპირისპირება უფრო ხელსაყრელი იქნებოდა, ვიდრე ლივერპულთან .

ლივერპულელები სწორედ ისე თამაშობენ, როგორც ჩვენ არ გვაწყობს. მადრიდში გამართულ პირველ მატჩში მათ ბოლომდე დათრგუნეს მეტოქე. მე არსენალთან დაპირისპირებას ვისურვებდი. ლონდონელები თვითონაც თამაშობენ და მოწინააღმდეგესაც აძლევენ ამის საშუალებას , - დასძინა პიკემ.

გარდა ამისა, ის ხაზს უსვამს, რომ დადებითმა შეფასებებმა მის გუნდზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს: დიახ, ლიონის წინააღმდეგ შესანიშნავად ვითამაშეთ, მაგრამ საჭირო არ არის გადაჭარბებული ქება, უბრალოდ, ჩვენ სირთულეები გადავლახეთ და იმედი მაქვს, სეზონს იმავე დონეზე დავამთავრებთ, რა დონეზეც ახლა ვთამაშობთ .

2008 წლის ზაფხულიდან დღემდე პიკემ ბარსას მაისურით ესპანეთის პრიმერადივიზიონში 17 მატჩი ჩაატარა.

## ბალაკს ჰიდინკის "ჩელსიში" დარჩენა სურს

ლონდონის ჩელსის ნახევარმცველი მიხაელ ბალაკი მიიჩნევს, რომ მისი გუნდის ბოლოდროინდელი წარმატება ახალი მთავარი მწვრთნელის, ჰოლანდიელი გუს ჰიდინკის დამსახურებაა.

გერმანელმა ფეხბურთელმა საკუთარი მოსაზრება ლონდონის ჩელსის ოფიციალურ ვებგვერდს გაუზიარა.

ძალიან მინდა, რომ გუს ჰიდინკი კლუბში რამდენიმე წლით დარჩეს. ყველა ვგრძნობთ, თუ რამდენად განათლებული და ძლიერი მწვრთნელია. გუნდში ჰიდინკი დიდი პატივისცემით სარგებლობს. ვფიქრობ, ბოლო მატჩებში ჩელსის წარმატება პირდაპირ კავშირშია მასთან , - დასძინა ბალაკმა, რომელმაც 2006 წლიდან დღემდე ინგლისის პრემიერლიგაში ჩელსის მაისურით 62 მატჩი ჩაატარა და 12 გოლი გაიტანა.

რაც შეეხება ჰიდინკს, მან მიმდინარე წლის დასაწყისში არისტოკრატთა მთავარი მწვრთნელის პოსტზე ბრაზილიელი ლუიშ ფელიპე სკოლარი შეცვალა. ჰოლანდიელის ხელმძღვანელობით ლურჯმაისურიანებმა ინგლისის პრემიერლიგაში ზედიზედ სამ გამარჯვებას მიაღწიეს და ჩემპიონთა ლიგის 1/4 ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს.

## ქართული დაპირისპირება ევროლიგაში

საკალათბურთო ევროლიგის ტოპ 16-ის გათამაშების დასრულების შემდეგ გაირკვა მეოთხედფინალისტთა ვინაობა, რომლებიც ოთხთა ფინალში გასასვლელად იბრძოლებენ. პლეი-ოფში გასული ქართველ კალათბურთელთა გუნდები ერთმანეთს გადაეყარნენ - ნიკა მეტრეველის მონტეპასკი გაეჯიბრება ბერძნულ პანათინაიკოსს , რომელშიც გიორგი შერმადინი ირიცხება.

მეოთხედფინალური მატჩები სამ მოგებამდე გაგრძელდება. მატჩები 24, 26 და 31 მარტს გაიმართება. საჭიროების შემთხვევაში გუნდები 2 და 8 აპრილსაც ითამაშებენ.

გამარჯვებულები გავლენ ოთხთა ფინალში , რომელიც 1-3 მაისს ბერლინის O2 World-ზე ჩატარდება.

საკალათბურთო ევროლიგის მეოთხედფინალი
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) - რეალი (ესპანეთი)
პანათინაიკოსი (საბერძნეთი) - მონტეპასკი (იტალია)
ბარსელონა (ესპანეთი) - ტაუ (ესპანეთი)
ცსკა (რუსეთი) - პარტიზანი (სერბეთი)

## საცურაო კოსტიუმის სტანდარტი დადგინდა

ცურვის მმართველმა ორგანომ, ფინამ დუბაიში გამართულ სხდომაზე აგვისტოში რომში გასამართი მსოფლიო პირველობისთვის საცურაო კოსტიუმების სტანდარტები დაადგინა.

კოსტიუმი არ უნდა ფარავდეს მოცურავის მხარმკლავებს, ტერფებსა და ყელს. მისი მაქსიმალური სისქე 1 მილიმეტრი, ხოლო მაქსიმალური უკუწნევა 1 ნიუტონი 100 გრამზე უნდა იყოს. ამასთან, მოცურავეს ერთზე მეტი კოსტიუმის ჩაცმა ეკრძალება.

ბოლო 12 თვის განმავლობაში მსოფლიოს დიდ თუ მცირე აუზებში, სავარაუდოდ, უწინარესად სწორედ საცურაო კოსტიუმთა წარმოების ტექნოლოგიათა სრულყოფის შედეგად, 108 (!) მსოფლიო რეკორდი დაემხო. ასე რომ, ფაქტობრივად, ცურვას წმინდა სპორტულიდან ტექნოლოგიურ შეჯიბრებად გადაქცევის საფრთხე დაემუქრა.

# ქორებმა ფრთები გაშალეს

არც ისე დიდი ხანია, რაც ატლანტა დასავლური ვოიაჟიდან დაბრუნდა. გასვლითი მატჩები ქორებმა წარუმატებლად ჩაატარეს, თუმცა საკუთარ ფილიპს არენაზე დაბრუნების შემდეგ ქორებმა ფრთები გაშალეს - ზედიზედ მეოთხე თამაში მოიგეს.

"დეტროიტის", "ნიუ ორლეანისა" და "იუტას" მსგავსად, ჯორჯიელთა შეჩერება ვერც "ინდიანას" კალათბურთელებმა მოახერხეს.

მეტ-ნაკლებად თანაბარ ბრძოლაში ჩავლილი საწყისი ორი მეოთხედის შემდეგ სტუმრები შესვენებაზე სამქულიანი უპირატესობით გავიდნენ - 48:45. მესამე პერიოდში ქორებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ, რომელიც 14 ქულის სხვაობით მოიგეს. მასპინძლებს ინიციატივა არც ბოლო თორმეტ წუთში დაუთმიათ და საბოლოოდ 101:87 გაიმარჯვეს.

ზაზა ფაჩულია სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო თამაშში და მოედანზე გატარებულ 15.42 წუთში 4 ქულა და 7 მოხსნა დააგროვა. ქართველმა ცენტრმა თამაშიდან 6-ჯერ ტყორცნა, შედეგიანი კი მხოლოდ ორი გამოუვიდა.

ატლანტელთა მხრიდან საუკეთესო იყო გუნდის ლიდერი ჯო ჯონსონი, რომელიც გუნდს 30 ქულით, 6 შედეგიანი გადაცემითა და 4 მოხსნით შეეწია. კარგ ფორმაშია ფაჩულიას უშუალო კონკურენტი ალ ჰარფორდი, რომელმაც "ინდიანასთან" მატჩიც ორმაგი დუბლით დაასრულა - 17 ქულა, 15 მოხსნა.

მიმდინარე რეგულარულში "ჰოუქსს" 38 გამარჯვება და 28 მარცხი აქვს. მოგება-წაგებათა სერიების მონაცვლეობის მიუხედავად, უკვე ორ თვეზე მეტია გათამაშების ცხრილში "ატლანტას" მდგომარეობა უცვლელი რჩება - ჯორჯიელები სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში მე-2, ხოლო მთლიანად აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-4 ადგილს ინარჩუნებენ.

მომავალ კვირაში ფაჩულიას გუნდს მოგება-წაგებათა ბალანსის კიდევ უფრო გაუმჯობესება შეუძლია, რადგან ატლანტელები უახლოეს სამ მატჩს ისევ საკუთარ მოედანზე ითამაშებენ - "პორტლენდთან , "საკრამენტოსა" და "დალასთან".



ფაჩულიამ ბურთი ფარიდან მოხსნა

წარმატებით აგრძელებს თამაშს მანუჩარ მარკოიშვილიც. ქართველმა კალათბურთელმა ბკ კიევს უკრაინის ჩემპიონატში მე-20 მატჩი მოაგებინა. ეს ფრაზა გადამეტებული არ გახლავთ - მანუ რომ არა, ბკ კიევი ვერ შეინარჩუნებდა ადგილს სატურნირო ცხრილის სათავეში. ქართველი დედაქალაქელებს 22 ქულით შეეწია, რაც მთელი გუნდის მიერ მოხვეჭილი ქულების თითქმის მესამედია. მატჩის მთავარი მექულე სწორედ ქართველი გახდა. რაც მთავარია, მარკოიშვილმა კრიტიკულ მომენტში იყოჩაღა, გუნდს საჭირო ქულები მოუტანა და შეხვედრის ბედიც კიეველთა სასარგებლოდ გადაწყვიტა.

მანუმ თითქმის შეუცვლელად ითამაშა, რაც დედაქალაქურ კლუბში გამოცდილი კალათბურთელების ნაკლებობით არის გამოწვეული. მოედანზე გატარებულ 39 წუთში ქართველმა ორქულიანი დისტანციიდან 13-ჯერ ისროლა და აქედან 6 მიზანში მოარტყა. პერიმეტრიდან შესრულებული 4 ტყორცნიდან მხოლოდ ერთი გამოუვიდა შედეგიანი, ხოლო 10 საჯარიმოდან 7 ქულის მომტანი გამოდგა. მარკოიშვილმა 5 შედეგიანი გადაცემა, 4 მოხსნა და ერთი ჩაჭრაც მიითვალა.

მარკოიშვილმა ეს სტატისტიკა ნიკოლაევთან გასვლით მატჩში გაიფორმა. რაც შეეხება თავად თამაშს, კიეველებმა ის 68:61 მოიგეს.

უკრაინის ჩემპიონატში კვლავ ორხელისუფლებიანობაა. 23 ტურის შემდეგ ბკ კიევსა და აზოვმაშს 20-20 მოგება აქვთ.

# წარმატებული სტარტი

გუშინ იაპონიის ქალაქ ოსაკაში სტარტი აიღო 2009 მეორე სუპერტურნირმა სუმოში, რომელშიც ორი ქართველი ათლეტი ასპარეზობს. დასავლეთის მერვე მაიგაშირა კოკაი (ლევან ცაგურია) და დასავლეთის მეათე მაიგაშირა ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე) არც ისე წარმატებული იანვრის ბაშოს შემდეგ სწორედ საგაზაფხულო ტურნირზე შეეცდებიან ვითარების გამოსწორებას და რეიტინგში წინ წაწევას. ამისთვის აუცილებელია ბაშოზე გასამართი თხუთმეტი ბრძოლიდან რვის მოგება. სხვა შემთხვევაში სუმოისტი ბაშოს უარყოფითი ბალანსით ამთავრებს და რეიტინგშიც კარგავს პოზიციებს.

სუპერტურნირის პირველ დღეს ორივე ქართველმა გაიმარჯვა. თავდაპირველად დოხიოზე ტოჩინოშინი გამოვიდა, რომელიც ელიტურ მაკუჩი დივიზიონში მეორე სეზონს ატარებს. მას აღმოსავლეთის მეთერთმეტე მაიგაშირა ასაკერიუ უპირისპირდებოდა. ტოჩინოშინმა მეტოქეს იორიკირის ილეთით აჯობა და ბაშოზე პირველი გამარჯვება მოიპოვა.



ბაშოს პირველ დღეს ორივე ქართველმა მოიგო

თანამემამულეს მხარი აუბა გამოცდილმა კოკაიმ, რომელმაც აღმოსავლეთის მეცხრე მაიგაშირა ჯემა კაკენაგეს ილეთით დაამარცხა.

ბაშოს ფავორიტებმა ასოშორიუმ და ჰაკუჰომ, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ბრძოლები იოლად მოიგეს. ალბათ სწორედ ისინი იბრძოლებენ იმპერატორის თასის მოსაგებად.

დღეს ასპარეზობის მეორე დღეა. ტოჩინოშინი დასავლეთის მეცხრე მაიგაშირა ფუტენოს ხვდება, რომელმაც გუშინ პირველი გამარჯვება მოიპოვა. კოკაის მეტოქე კი იქნება დასავლეთის მეშვიდე მაიგაშირა ტაკიმასაკირი. პირველი ბრძოლა მანაც მოიგო.

# აუტსაიდერთა ტური



*შოთა კაშიას საგოლე პასებმა "დინამოს" ვერ უშველა*

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის 24-ე ტური მიმდინარე სეზონში ყველაზე სენსაციური აღმოჩნდა. ვერავინ იფიქრებდა, რომ ერთპიროვნული ლიდერი თბილისის "ვიტ ჯორჯია" აუტსაიდერ "გაგრასთან" საშინაო მატჩში 2 ქულას დაკარგავდა და "დინამოს", რომელიც ტურის მატჩს მეორე დღეს თამაშობდა, პირველ პოზიციაზე გადასვლისთვის ბრწყინვალე პლაცდარმს შუქმნიდა. მით უმეტეს, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ თბილისის "დინამო", მიმდინარე სეზონში პირველად, პირველ პოზიციაზე აღზევების ამ შანსს ხელიდან გაუშვებდა და აუტსაიდერ "სპარტაკთან" ქულების დაკარგვით სტატუს კვოს ხელუხლებელს დატოვებდა. ეს ყველაფერი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ სატოტალიზატორო ბიზნესში ჩახედულებს აუცილებლად ეჭვი გაუჩნდებოდათ ამ თამაშების "ჩაწყობასთან" დაკავშირებით. მაგრამ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ტოტალიზატორები საქართველოს ჩემპიონატს არ ენდობიან და ჩვენი თამაშები პროგრამაში არ შეაქვთ, დანამდვილებით შეიძლება ითქვას: "ჩაწყობა" არაფერ შუაშია - ლიდერებმა უმნიშვნელოვანესი ქულები ქარს გაატანეს.

სწორედ "გაგრა" იყო ის გუნდი, რომელმაც პირველივე ტურში მყვირალა სენსაცია მოახდინა: დებიუტანტმა სტუმრად თბილისის "დინამოს" 2:1 სძლია და ასე რიხიანად შემოაღო უმაღლესი ლიგის კარი. მართალია, შემდგომში "გაგრამ" ეს რენომე ვერ შეინარჩუნა და სწრაფად აღმოჩნდა სატურნირო ცხრილის სარდაფში, მაგრამ აუტსაიდერის როლთან შეგუებას არ აპირებს, რისი მორიგი დასტურიც ამ გუნდის მიერ 14 მარტს "ვიტ ჯორჯიასთან" ჩატარებული შეხვედრა გამოდგა. მატჩი ვეტერინარებთან მნიშვნელოვანესი უპირატესობით წარიმართა. შეხვედრის მთავარ გმირად იქცა გაგრელთა მეკარე სომხიშვილი, რომელმაც როგორც პირველ, ისე მეორე ტაიმში არაერთი საგოლე საფრთხე აარიდა თავის კარს. მისი ეს თავგანწირული თამაში თანდათან მთელ გუნდს გადაედო და რაც დრო გადიოდა, ნესტორ მუმლაძის გუნდის შეტევები უფრო ქაოსურ ხასიათს იღებდა და სიმწვავე კლებულობდა. და მაინც, ვეტერინარებს ბოლო წუთებში მატჩისა და სამი ქულის გადარჩენის შანსი მიეცათ: მსაჯმა "გაგრის" კარში სადავო თერთმეტმეტრიანი დანიშნა. ეს 89-ე წუთზე მოხდა და მისი რეალიზაციის შემთხვევაში, თითქმის ასპროცენტიანი სიზუსტით შეიძლებოდა თქმა, რომ "ვიტ ჯორჯია" გამარჯვებას ხელიდან არ გაუშვებდა. ბურთთან მივიდა მასპინძელთა თავდამსხმელი მელქაძე, რომელმაც ბურთი კარს ააცილა და ეს შანსი ქარს გაატანა. სხვათა შორის, ორი ტურის წინ "ვიტ ჯორჯია" ბოლნისის "სიონსაც" დაუზავდა და მაშინაც ბოლო წუთებზე ვეტერინარებმა პენალტი ვერ გამოიყენეს. ის თერთმეტმეტრიანი ვიტელთა კაპიტანმა ლუკა რაზმაძემ გააცუდა.

"ვიტ ჯორჯიას" ვალში არ დარჩა არც თბილისის "დინამო", რომელმაც გუშინ გადარჩენისთვის მებრძოლ ცხინვალის "სპარტაკს" უმასპინძლა. ცხინვალელებმა თითქმის მთელი პირველ-მეორე წრე ქარს გაატანეს და უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის სერიოზული მუშაობა მეორე წრის მიწურულსღა დაიწყეს. სწორედ ამ პერიოდში "სპარტაკმა" გასვლით მატჩში საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლ რუსთავის "ოლიმპს" აართვა ქულა, შემდეგ ახალციხის "მესხეთსაც" დაუზავდა, ამჯერად კი უკვე მოქმედი ჩემპიონიც აზარალა. შეხვედრის მიმოხილვას აზრი არც აქვს. მატჩი მასპინძლების სრული ჰეგემონიით წარიმართა: ბურთს "დინამო" აკონტროლებდა და მომენტს მომენტზე ქმნიდა "სპარტაკის" კართან, მაგრამ გოლის გატანას ვერ ახერხებდა. მეტიც: პირველი ტაიმის მე-14 წუთზე ცხინვალელთა პირველივე შეტევა გოლით დასრულა: ალექსანდრე ჩივაძის ვაჟის, გიორგი ჩივაძის ზუსტი პასის შემდეგ ოვონოსთან პირისპირ გასულ სირბილაძეს გოლის გატანა არ გასჭირვებია. ცოტა ხანში "დინამოს" დამრიგებაელს, გერმანელ რაინერ ცობელს იძულებითი შეცვლის განხორციელება მოუხდა: კოშკაძის ნაცვლად თამაშში ჩაერთო ახალგაზრდა ნახევარმცველი ლომაია. შოთა კაშიას ზუსტი პასის შემდეგ სწორედ მან გაიტანა საპასუხო გოლი. მალე თითქოს ყველაფერი თავის ადგილზე დადგა: 43-ე წუთზე ვაწაძემ "დინამო" დააწინაურა და შესვენებაზე გასვლისას მასპინძლები წინ იყვნენ - 2:1.

კვანძი 62-ე წუთზე გაიხსნა: ქურასბედიანის გარღვევისა და ჩაწოდების შემდეგ სირბილაძემ ახლო მანძილიდან დარტყმით ამ შეხვედრაში თავისი მეორე გოლი გაიტანა და ტაბლოზე საბოლოო ანგარიში - 2:2 დააფიქსირა. დარჩენილ ნახევარ საათში, მასპინძლების არაერთი მცდელობის მიუხედავად, ანგარიში არ შეცვლილა. "სპარტაკმა" საპატიო ქულა მოიპოვა.

დაძაბულობა არ კლებულობს მესამე ადგილისთვის მებრძოლ გუნდებს შორის. აქ კონკურენტებმა პოზიციები გაცვალეს: "ზესტაფონი" გასვლით მატჩში ბოლნისის "სიონთან" ქულას დასჯერდა, ახალციხეში რუსთავის "ოლიმპმა" მინიმალური ანგარიშით - 1:0 გაიმარჯვა ადგილობრივ "მესხეთთან" და მესამე პოზიციაზე გადაინაცვლა.

**24-ე ტური**

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია - გაგრა | 0:0 |
| დინამო - სპარტაკი | 2:2 |
| სიონი - ზესტაფონი | 0:0 |
| მესხეთი - ოლიმპი | 0:1 |
| მგლები - ბორჯომი | 5:0 |

# მოურინიოს მანკუნიანელები უჩივიან

ჩემპიონთა ლიგის 1/8-ფინალური განმეორებითი მატჩის შემდეგ მანჩესტერის ერთ-ერთ ქომაგზე მილანის ინტერის მთავარი მწვრთნელის ჟოზე მოურინიოს თავდასხმა იტალიური კლუბის პრესსამსახურმა უარყო.

შეგახსენებთ, რომ იტალიურმა კლუბმა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ორმატჩიანი ეტაპი მანჩესტერთან დათმო. შეხვედრის შემდეგ მანჩესტერის პოლიციამ მიიღო შეტყობინება, თითქოს ნერაძურის თავკაცმა ჟოზე მოურინიომ ინგლისური გუნდის ერთ-ერთ ქომაგს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ამ ფაქტზე გამოძიებაც დაიწყო. იტალიური კლუბის ხელმძღვანელობამ კი გააკეთა განცხადება, რომლის თანახმად მოურინიო არა მარტო კონფლიქტის ინიციატორი არ ყოფილა, არამედ გარშემო მყოფებთან ფიზიკური კონტაქტიც არ ჰქონია.

## დუნგას რჩეულები

ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კარლოს დუნგამ 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში 29 მარტს სტუმრად ეკვადორთან, ხოლო 1 აპრილს საკუთარ მოედანზე პერუსთან გასამართი მატჩების წინ პენტაკამპეონთა რიგებში გამოძახებული ფეხბურთელების ვინაობა დაასახელა.

დუნგამ არჩევანი შემდეგ ფეხბურთელებზე შეაჩერა:

**მეკარეები:** დონი ( რომა , იტალია), ჟულიო სესარი ( ინტერი , იტალია)

**მცველები:** დანიელ ალვეში ( ბარსელონა , ესპანეთი), კლებერი ( ინტერნასიონალი ), ლუსიო ( ბაიერნი , გერმანია), ლუიზაო ( ბენფიკა , პორტუგალია), მაიკონი ( ინტერი , მილანი), მარსელო ( რეალი , ესპანეთი), მირანდა ( სან პაულუ ), ტიაგო სილვა ( მილანი , იტალია).

**ნახევარმცველები:** ანდერსონი ( მანჩესტერ იუნაიტედი , ინგლისი), ელანო ( მანჩესტერ სიტი , ინგლისი), ფელიპე მელო ( ფიორენტინა , იტალია), ჟილბერტო სილვა ( პანათინაიკოსი , საბერძნეთი), ჟოსეუ ( ვოლფსბურგი , გერმანია), ჟულიო ბაპტისტა ( რომა , იტალია), კაკა, რონალდინიო (ორივე მილანი , იტალია).

**თავდამსხმელები:** ადრიანო ( ინტერი , იტალია), ალეშანდრო პატო ( მილანი , იტალია), ლუის ფაბიანო ( სევილია , ესპანეთი), რობინიო ( მანჩესტერ სიტი , ინგლისი).

## ნადალს დიდი სლემის მოგებაში ეჭვი ეპარება

ვაჟთა საჩოგბურთო რეიტინგის ესპანელი ლიდერი რაფაელ ნადალი თვლის, რომ წლეულს დიდი სლემის ოთხივე ტურნირის მოსაგებად მას არც ისე დიდი შანსი აქვს.

უკანასკნელი ვაჟი ჩოგბურთელი, ვისაც ერთ სეზონში დიდი მუზარადის ოთხივე შეჯიბრება აქვს მოგებული, ავსტრალიელი როდ ლეივერი გახლდათ.

ნადალი, რომელმაც წლეულს ავსტრალიის ღია პირველობაზე უკვე გაიმარჯვა და როლან გაროს ბოლო ოთხი წლისა და უიმბლდონის შარშანდელი გამარჯვებულიცაა, დიდი მუზარადის მოსაგებად თავის შანსებზე მაინც თავშეკავებულად საუბრობს.

ჩემი შანსები მართლაც მცირეა, - თქვა მან ინდიან უელსში, სადაც წლის პირველ მასტერსტურნირზე გამოდის, - ის, რაც როდ ლეივერმა გააკეთა, საოცარია. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მაშინ ამის მიღწევა ცოტა უფრო ადვილი იყო, რადგან მაშინ ჩოგბურთელებს მხოლოდ ორ საფარზე - ბალახსა და თიხნარზე უწევდათ თამაში.

ახლა სამ საფარზე ვთამაშობთ, თან ავსტრალიური და ამერიკული ჰარდი ერთმანეთისგან განსხვავდება. ჩემი დიდი მიზანი წლეულს აშშ-ის ღია პირველობის მოგებაა, - განაგრძო მან, - ეს ხომ ჯერჯერობით ერთადერთია დიდი ოთხეულიდან, რომელიც ჯერ არ მომიგია. ცხადია, ისევ ბევრს ვვარჯიშობ, მაგრამ ყველა ტურნირის მოგება შეუძლებელია. ისე, ვცდილობ, უფრო აგრესიული ვიყო, უკეთ მოვაწოდო, ერთი სიტყვით, უფრო სრულყოფილი ჩოგბურთელი გავხდე. ბურთის მოჭრა თუ შეგიძლია, თამაშის გაგრძელების ახალი ვარიანტები ჩნდება, ბადესთან თუ გადიხარ, კიდევ სხვა შესაძლებლობებს იქმნი. რაც უფრო მრავალფეროვანი ხარ და მეტი არჩევანი გაქვს, ენერგიაც ნაკლები გეხარჯება. მძიმე ტურნირებისას კი ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

## ზიდანი საუკეთესოდ ჯერარდს მიიჩნევს

საფრანგეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ყოფილი ლიდერი ზინედინ ზიდანი მიიჩნევს, რომ ინგლისის ლივერპულის ნახევარმცველი სტივენ ჯერარდი ამჟამად მსოფლიოში საუკეთესო მოთამაშეა.

შეიძლება მისი სახელი ისე ხშირად არ ხვდება გაზეთის ფურცლებზე, როგორც კრიშტიანუ რონალდუსი ან ლეო მესის, მაგრამ, ვფიქრობ, სტივენ ჯერარდი მსოფლიოში საუკეთესოა. თუ შემადგენლობაში ისეთი მოთამაშე არ გყავს, როგორიც ის არის, წარმატების მიღწევა გაგიჭირდება.

როდესაც რეალი ესპანეთსა და ევროპაში ტიტულებს იგებდა, ყოველთვის ვამბობდი, რომ ჩვენი გუნდის ყველაზე მნიშვნელოვანი მოთამაშე კლოდ მაკელელე იყო. ვერც მე, ვერც ფიგუ და ვერც რაული ვერ შევძლებდით იმის გაკეთებას მინდორზე, რასაც ვაკეთებდით, მაკელელე რომ არ დაგვხმარებოდა. იგივე შეიძლება ითქვას ლივერპულსა და ჯერარდზეც , - დასძინა ზიდანმა.

The New York Times offers a "window" to the world




- Every Tuesday, from 20th of January, the leader of the world press The New York Times with 24 Saati.

- The New York Times selects the articles each week specially for Georgian Reader.

- The best from The New York Times.

ნიუ-იორკ თაიმსის საერთაშორისო ყოველკვირეული გამოცემა - International Weekly, წარმოადგენს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო სამსახურის მიერ კვირის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალებიდან შერჩეული საუკეთესო სტატიების, ფოტების, გრაფიკის ნაკრებს; იგი მზადდება ნიუ-იორკ თაიმსის რედაქტორებისა და დიზაინერების მიერ, კაბადონდება ნიუ-იორკში და იგზავნება დასაბეჭდად საქართველოში. ყოველკვირეული ჩანართი სპეციალურად მზადდება 24 საათისთვის , ისევე, როგორც ფრანგული ლე მონდისთვის , ესპანური ელ პაისისთვის , გერმანული ზიუდ დოიჩე ცაიტუნგისთვის , ბრიტანული ობსერვერისთვის და ა.შ.

24 საათი 2009 წლის იანვრიდან არის ნიუ-იორკ თაიმსის კორპორატიული პარტნიორი და უფლება აქვს გამოიყენოს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო, ფოტო და გრაფიკული ბაზა.

A weekly international edition of "The New York Times" - "International Weekly" is a collection of the best articles, photos and graphics selected by "The New York Times" information service out of all materials published during the whole week. It is prepeared by "The New York Times" editors and designers, imposed in New York City and sent to Georgia for printing. A weekly insert is specially prepeared for "24 Saati" newspaper as well as for French "Le Monde", Spanish "El Pais", German "Sueddeutsche Zeitung", British "Observer", etc.

From January 2009, "24 Saati" newspaper is a corporate partner of "The New York Times" and enjoys the right to use information, photo and graphic base of "The New York Times".

# გუდაურში კავშირი შედგა



გიგა ბურასაშვილის ფოტო

გიგა ბურასაშვილი

